საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 1 დეკემბერი, 2012 წელი.

№231 (7107)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვები სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



ნაციონალთა მიერ გამომცემლობა „სამშობლოდან“ ძალადობრივად გამოყრილი ასობით ჟურნალისტის საყურადღებოდ!

ახალი ხელისუფლების მიერ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების საშვილიშვილო საქმეში, დიდი იმედია, აუცილებლად გათვალისწინებული იქნება სამშობლოს მსახური ჟურნალისტებისთვის წართმეული გამომცემლობა „სამშობლოს“ დაბრუნება პრესისთვის, რომელიც მთელი შემართებით მხარში ედგა დემოკრატიის, თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლას, ანუ იმ ჭეშმარიტად სახალხო ძალას, ეს სამართლიანობა ერთხელ და სამუდამოდ რომ უნდა დაამკვიდროს საქართველოში!..

მოგიწოდებთ, მეგობრებო, სასწრაფოდ შევქმნათ „სამშობლოდან“ გამოყრილი რედაქციების ჟურნალისტთა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ახალი ხელისუფლების საქმიანი მხარდაჭერით დაელაპარაკება „სამშობლოს“ ამჟამინდელ მფლობელებს იმის თაობაზე, რომ ჩვენ ჩვენი კუთვნილი, ჩვენი შრომით აშენებული „სამშობლო“ დავიბრუნოთ და არც ისინი, ამჟამინდელი მფლობელები, დაზარალდნენ უსამართლოდ.

იმედია, პრესის სამართლიანი ხმა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა!..

ქაოსსა და განუკითხაობას ვოლარ შევურიგდებით

4

„ბიუჯეტი ფულს კარგავს, მგზავრი – კომფორტულ მომსახურებას“

საკაშვილის ხროვას შეწირულნი

5

„თვით ნაპოლეონიც კი, საკაშვილთან შედარებით, ნაკლებ თანხას მოიხმარდა“

გლუქსმანები სერიოზულ 3 გავლენას ფლობენ ფრანგულ მედიაზე

კვირაძალს საკითხავი 6-7

მკაცრი ლიუების ტომარეულში

„გურამ, გურამ“...

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვიმედოვნებთ, რომ საგარაუდო დამნაშავეების საქმეების გამოძიება კანონის შესაბამისად ხდება

— ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა ვაშინგტონში, მაია ფანჯიკიძესთან შეხვედრისას განაცხადა.

მისივე თქმით, აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 20 წლისთავზე ამერიკა საქართველოს მთავრობასა და ქართველ ხალხთან თანამშრომლობის გაგრძელებას ელის.

— ოქტომბერში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები იყო წარმატებული და მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოში დემოკრატიის შემდგომი განვითარებისთვის და საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფების შესრულებისკენ. ჩვენ მხარი დავუჭირეთ ხელისუფლების მშვიდობიან გადაცემას, რომელიც მოხდა არჩევნების შედეგად და ვიმედოვნებთ, რომ საგარაუდო დამნაშავეების საქმეების გამოძიება ხდება გამჭვირვალედ — კანონის და პროცედურული ნორმების შესაბამისად. ეს უნდა შეესაბამებოდეს ქართველი ხალხის გრძნობებს და მისწრაფებას, — განაცხადა კლინტონმა.

მისივე თქმით, ამერიკა მომავალშიც დაუჭერს მხარს საქართველოს, არა მხოლოდ შიდა პოლიტიკურ პროცესში, არამედ ყველგან, სადაც ორი ქვეყანა თანამშრომლობს — მათ შორის ავღანეთის მისიასა და ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ვაშინგტონში მიწვევისთვის მადლობა გადაუხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

— ჩემთვის დიდი პატივია, რომ არჩევნებიდან ასე მოკლე პერიოდში მომიწვიეთ. არასოდეს დამავიწყდება თქვენი სატელეფონი ზარი, რომელიც ძალიან სასიამოვნო იყო. ბედნიერი ვარ, რომ დღეს აქ ვარ და დარწმუნებული ვარ, შევძლებთ აშშ-სთან ურთიერთობის საკითხების განხილვას. ვამაყობთ, რომ ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. ვისაუბრებთ საქართველოს შიდა და საგარეო გამოწვევებზე. იმედი მაქვს, თქვენ გაგებით მოეკიდებით ჩვენს საკითხებს და ვიმედოვნებთ, რომ თქვენი დახმარება და მხარდაჭერა მომავალში გაგრძელდება, — მიმართა ჰილარი კლინტონს მაია ფანჯიკიძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი „ვაშინგტონ პოსტის“ რედაქციაში მისვლას და ჟურნალისტებთან შეხვედრასაც გეგმავს.

ჰილარი კლინტონის განცხადებაში განსაკუთრებული არაფერი თქმულა

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის განცხადებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ქვეყანაში მიმდინარე დაკავებებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობასაც იგივე პოზიცია აქვს, რაც — ჰილარი კლინტონს.

— დაკავებების პროცესის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით იგივეს ვფიქრობთ ჩვენც და ვაკეთებთ კიდეც. ასე რომ, ჰილარი კლინტონის განცხადებაში არაფერი განსაკუთრებული არ თქმულა, — დასძინა ივანიშვილმა.

რაც შეეხება პასკვილებს, რომელიც „ვაშინტონ პოსტში“ დაიბეჭდა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, არის ეჭვი, რომ უცხოურ პრესაში პასკვილებზე გიგა ბოკერიას უწყებას 16 000 000 ლარი აქვს დახარჯული.

„სააკაშვილი ცდილობს, არასწორი ინფორმაცია გაიტანოს საზღვარგარეთ. გიგა ბოკერიას სამსახურს ბიუჯეტიდან 16 000 000 ლარი აქვს დახარჯული, თუმცა ამ ინფორმაციის „გახსნა“ ვერ მოვახერხეთ, მას გრიფი „საიდუმლო“ ადევს. ინფორმაცია გამოითხოვა ფინანსთა მინისტრმა, თუმცა მასაც არ აძლევენ. ვფიქრობ, რომ უახლოეს დღეებში შევძლებთ სიმართლის დადგენას, თუმცა, დიდი ეჭვი გვაქვს, რომ ბიუჯეტიდან ამ თანხებით ფინანსდებოდა პასკვილები, რაც უცხოურ პრესაში იბეჭდებოდა, — განაცხადა პრემიერმა.

მისივე განმარტებით, ასეთი სტატიები ქართული სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობას ვერ შეაფერხებენ.

— ჩვენ ვიწყებთ სამართლიანობის აღდგენას. დაკავებების პროცესი მალე ჩამთავრდება და ჩვენ მოვახერხებთ, საერთაშორისო მედიასაც გავაცნოთ მათი რეალური სახე. არ ვიმოქმედებთ იმის მიხედვით, თუ რა იწერება საზღვარგარეთ. ჩვენ ვართ საქართველოს მთავრობა და ძალიან კარგად ვფლობთ სიტუაციას. ვიცით, რაც ხდება ქვეყანაში, — აღნიშნა ივანიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

◎ მოულოდნელი რაკურსი

პარლამენტს ფანჯრები „აღმოუჩინეს“

ძუთაისში არსებულ პარლამენტის 360 მლნლარიან გამჭვირვალე შენობას ფანჯრები რომ ჰქონია, ეს დღეს გახდა ცნობილი. 21 ოქტომბრიდან, ანუ მერვე მოწვევის პარლამენტის საშემოდგომო სესიის გახსნის დღიდან, რაც უწყება ფუნქციონირებს ქვეყნის უმაღლეს ორგანოში ფანჯრები არ გაუღიათ. დღეს კი, გამჭვირვალე შენობის წრიულ პერიმეტრზე განლაგებული ფანჯრები დღის მეორე ნახევრამდე გაღებული იყო. მართალია, ღია ფანჯრების წყალობით, შენობაში ჰაერი უჩვეულოდ მოძრაობდა და ადამიანებს სუნთქვა გაცილებით უკეთ შეეძლოთ, მაგრამ ამ დადებითი მხარის მიუხედავად, ფანჯრები თუ ვის მიერ და რა მიზნით გაიღო, უცნობია. ლოგიკური ეჭვი ჩნდება, რომ ფანჯრების გაღება და შენობაში ჰაერის შესვლა, უწყებაში სპეციალისტების ვიზიტს უკავშირდება. კერძოდ, საკანონმდებლო ორგანოს სამეცნიერო კვლევითი ფირმის — „გამა“ სპეციალისტები ესტუმრნენ და შენობის ვიზუალური აუდიტი ჩაატარეს. სპეციალისტებმა შენობაში ჰაერის სიჩქარის, ტემპერატურის, ტენიანობის, ხმაურის, წყლის, ვენტილაციისა და რადიოაქტიური ნივთიერებების სინჯები აიღეს. ნიმუშებს კი, ლაბორატორიაში დაამუშავებენ და დასკვნა დაახლოებით ათი დღის ვადაში დაიდება, რომლის ობიექტურობაც კითხვის ნიშნის ქვეშ, მავანთა მიერ გაღებულმა ფანჯრებმა უკვე დააყენა.

როგორც For.ge-ს ფირმის პრეზიდენტმა ვახტანგ გვახარიამ განუცხადა, მისი კომპანია პარლამენტში არსებულ ვითარებას საკანონმდებლო ორგანოს დაკვეთით სწავლობს. მისი განმარტებით, სპეციალისტებმა სენსიტიური უბნები და ხალხმრავალი ოთახები შეამოწმეს და ჯანმრთელობის კუთხით, წარმოშობილ ჩივილებთან დაკავშირებით, აპარატის თანამშრომლებს ინტერვიუები ჩამოართვეს.

„აღნიშნულ სინჯებს ლაბორატორიაში დაამუშავებენ და დასკვნა პარლამენტის აპარატს ექსკლუზიური უფლებით მიეწოდება“, - აღნიშნა გვახარიამ.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, წინასწარი შეფასებისგან „გამას“ პრეზიდენტმა თავი შეიკავა.

უნდა ითქვას, რომ სპეციალისტებმა განსაკუთრებული ყურადღება იმ ოთახებზე გაამახვილეს, სადაც აპარატის თანამშრომელთა ცუდად გახდომის ფაქტები იქნა დაფიქსირებული, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოში ფანჯრები მაინცდამაინც დღეს რატომ გააღეს, საკითხის გარკვევა for.ge-მ აპარატის ხელმძღვანელ ზურაბ მარაქველიძესთან სცადა.

მარაქველიძის მტკიცებით, მას არ აქვს ინფორმაცია, ფანჯრები ვინ გააღო.

„გულწრფელად გეტყვით, თუ რატომ გაიღო ფანჯრები, ინფორმაცია არ მაქვს და ამ საკითხით, არც დავინტერესებულვარ. პარლამენტს ფანჯრები აქვს და მისი გაღება მექანიკურად არ ხდება. ამ ბოლო პერიოდში კი, პარლამენტში მყოფი ადამიანები უჰაერობას უჩივიან და შეიძლება ამიტომ გააღეს. თუმცა, ამ საკითხით, დავინტერესდები და იმედია, რაიმე შეთქმულებას არ აქვს ადგილი“, - დასძინა მარაქველიძემ.

რაც შეეხება იმას, პარლამენტში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, კერძო კომპანიის მიერ წარდგენილი დასკვნა იქნება თუ არა საჯარო, მარაქველიძე აცხადებს, რომ დასკვნა საინტერესო იქნება როგორც პარლამენტის წევრებისთვის, ასევე აპარატის თანამშრომლებისთვის.

„150 ადამიანი პარლამენტის წევრია, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკური თანანმდებობის პირები არიან და ამ გარემოსთან აქვთ შეხება. ამასთან, უწყებაში ასობით ადამიანი არის დასაქმებული. შესაბამისად, თუ რაიმე ისეთი აღმოჩნდება, რომელიც ჯანმრთელობისთვის მავნე იქნება, ამ ფაქტის დამალვა დანაშაულიც კი იქნება. თუ დასკვნა სერიოზული ზიანის მომცემი იქნება, ის არ დაიმალება“, - განაცხადა მარაქველიძემ.

ვინაიდან, სამეცნიერო კვლევის დამკვეთი პარლამენტია, „გამასთვის“ გასამრჯელოს გადახდა უწყებას მოუწევს, მაგრამ თუ რამდენის, ეს უცნობი რჩება. მარაქველიძე კი აცხადებს, რომ აღნიშნული ექსპერტიზა დიდ დანახარჯებს არ მოითხოვს.

თეონა მანაგაძე

◎ მეზობელი კარისაო...

როგორი იქნება ახალი ხელისუფლების კავკასიური პოლიტიკა?

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტი გადადო, თუმცა, როგორც ცნობილი ხდება, ახლო მომავალში ის მეზობელ ქვეყანას, აზერბაიჯანს ეწვევა. ექსპერტების ვარაუდით, მთავრობის მეთაური ბაქოში რიგ კონკრეტულ ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით გამართავს მოლაპარაკებებს, რაც საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ბოლო წლებში, გარდა მთელი რიგი ეკონომიკური ურთიერთობებისა, რეზონანსული იყო ინიციატივა, რომელიც საქართველოში, ყოფილი ხელისუფლების მხრიდან, პრეზიდენტ ალიევის ვიზიტის დროს გახმიანდა: საქმე ეხებოდა საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაციის შექმნის იდეას. „ამ ინიციატივის ფორმა დიპლომატების მოლაპარაკებების შემდეგ შეირჩევა. მოლაპარაკებები კი უკვე მიმდინარეობს და შედეგები უახლოეს მომავალში გამოიკვეთება“ — დაბეჯითებით ირწმუნებოდა მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე.

საქართველოს ინიციატივას სასწრაფოდ გამოეხმაურნენ სამეზობლოში. სპეციალისტების ნაწილმა

მას შეუძლებელიც კი უწოდა. მეზობელ რუსეთსა და სომხეთში კი იგივე ექსპერტების მხრიდან პესიმისტური პროგნოზები გაკეთდა. ერევანმა იმთავითვე განაცხადა, რომ ასეთ კავშირს კატეგორიულად არ მიესალმებოდა და ის მთელი რეგიონის განვითარებაზე დადებითად ვერ აისახებოდა.

ოფიციალურ ბაქოს ამ მიმართულებით დიდი აქტიურობა არ გამოუჩენია. სპეციალისტების უმრავლესობამ, თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლების ეს ინიციატივა უტოპიურად ჩათვალა, ისევე, როგორც ხელისუფლების რეგიონული, კავკასიური პოლიტიკის სხვა მიმართულებები, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიასთან მცირედ დაუბალანსებელი და „სპეციფიკური“ ურთიერთობა, რომელიც, როგორც მაშინდელი სტატიები მეტყველებს, თვით დასავლეთისთვისაც მთლად გასაგები არ იყო. ჩერქეზების გენოციდის აღიარების თემამაც, თვით ჩერქეზებშიც გარკვეული წინააღმდეგობრივი მოსაზრებები წარმოშვა, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა უცხოეთში მცხოვრებ ეთნიკურ ჩერქეზებში, „გაურკვეველმა ძალებმა“, თვით ამ ფაქტის შემდეგაც კი, მკვეთრად ანტიქართული კამპანია გააჩაღეს.

კვლავ აზერბაიჯანის თემას რომ დავუბრუნდეთ, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის პრობლემური საკითხები, დავით გარეჯის მოვლენების დროს გამოჩნდა და ეს სენსიტიური საკითხი დღემდე მოუგვარებელია. ახალ ხელისუფლებას, ამ მიმართულებითაც სერიოზული მუშაობა მოუწევს. ზოგადად კი, დიდი პრობლემაა საქართველოს საზღვრების დემარკაცია-დემილიტაციის საკითხი, რომელიც გადაჭრილი არ არის, გარდა თურქეთისა და შესაძლოა, პრობლემები სხვა მეზობლების საზღვრებზეც გამოჩნდეს, რომლის ნიშნები პერიოდულად იკვეთება-ხოლმე. ამიტომ აშკარაა, რომ რეგიონის მასშტაბებში, ახალი ხელისუფლება უახლოეს მომავალში ბევრი ისეთი თემის წინაშე აღმოჩნდება, რომელთა მოგვარებაც დროის და დიდი მუშაობის საკითხია.

როგორი იქნება ახალი ხელისუფლების კავკასიური პოლიტიკა, ამ კითხვას ბიძინა ივანიშვილს არცთუ ისე ხშირად უსვამენ, ფაქტობრივად, ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც მას ამის შესახებ პირველ პრესკონფერენციაზე ჰკითხეს, თუმცა მაშინ ჯერ კიდევ ოპოზიციის ლიდერმა, პასუხისას სიფრთხილე გამოიჩინა. ამ დროს კი ეს ერთ-ერთი ყველაზე საშური საკითხია, სადაც პრიორიტეტების გამოკვეთა ძალზედ მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება ჩვენი სახელმწიფოს მომავლისა და განვითარებისათვის. თუმცა, თუნდაც ის, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციის მონაწილე რუსეთის მოქალაქეს, დიდი ალბათობით, მოსკოვს არ გადასცემენ, უკვე შეიძლება გარკვეულ მესიჯად ჩავთვალოთ, რაც საინტერესო და მისასალმებელია.

ლელა კედელაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მერი და დანაშაული

გლუქსმანები სერიოზულ გავლენას ფლობენ ფრანგულ მედიაზე

თბილისის მერი პოლიტიკური დევნის მსხვერპლად მიიჩნევს თავს და აცხადებს, რომ საგადასახადო შემოსავლების სამსახურის მიერ, მერიის სამსახურების შემოწმების საქმეს პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს. პრემიერ-მინისტრის შეფასებით კი „ეს ხალხი მიეჩვია, რომ რაღაც ჯგუფებს აყალიბებდნენ და დღესაც ცდილობენ, ასე მართონ ქვეყანა, სამართალდამცავების ნებისმიერ ქმედებას კი პოლიტიკურ აქტად აფასებენ. რაც შეეხება დასუფთავების სამსახურს, გამოვიდა ჭორი, რომ იქ ძალიან ბევრი ზონდერი ჰყავდათ გაფორმებული. ეს შემოწმება არის ნორმალური ფორმა, იმიტომ არსებობენ ეს სამსახურები, რომ შეამოწმონ“, — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

თბილისის მერი ადგილობრივ თვითმმართველობებზე ზეწოლაზეც საუბრობს, ევროკავშირის ელჩი კი კვლავ თანამშრომლობისკენ მოუწოდებს ძველ და ახალ ხელისუფლებას და აცხადებს, რომ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება უშედეგო და საზიანო ჩხუბში არ უნდა ჩაებან. დიმიტროვის განმარტებით, ყოველთვის არის დიდი სურვილი ცენტრალური მთავრობის მხრიდან, რათა მკაცრად დააკვირდეს, რა ხდება სხვადასხვა ადგილას, თუმცა კოჰაბიტაცია აუცილებელია. რას ცდილობს „ნაციონალური მოძრაობა“, ამ თემაზე ექსპერტი სოსო სისკარიშვილი გვესაუბრება.

— ბატონო სოსო, გიგი უგულავა ხელისუფლებას პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებს. ირიბად, მაგრამ, მას მხარი აუბა ევროკავშირის ელჩმაც, როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა დედაქალაქის მერისთვის ასეთი ტრაგიკული მისი სამსახურის ფინანსური შემოწმება?

— მოწმენი ვართ ვითარებისა, როდესაც ორი პოლიტიკური ძალის მხრიდან ერთ შემთხვევაში საერთაშორისო ლობისტური კომპანიების დაფინანსება მიმდინარეობს, ხოლო მეორე მხარემ ასეთი საქმიანობა შეწყვიტა. ვფიქრობ, „ქართულმა ოცნებამ“ წინმსწრებად ირწმუნა სამართლიანობა ჩვენს პლანეტაზე და ჩათვალა, რომ თუ ისინი მართლები არიან საკუთარი სინდისისა და მოსახლეობის წინაშე, ამ შემთხვევაში სიმართლეს თავისთავად დაინახავს უცხოეთის საზოგადოება.

მით უმეტეს, თუ ისინი აღმოჩნდებიან კვლავ ლობისტური კომპანიების, არცთუ სამართლიანი, კამპანიის ზეწოლის ქვეშ, სწორედ ეს სიტუაციაა დღეს. როდესაც საქართველოს საშიშროების საბჭო ჰყავს და არა უშიშროების, როდესაც საქართველოს არა მმართველი ძალის, არამედ ოპოზიციის წარმომადგენელი პრეზიდენტი ჰყავს, ეს არის უბრალოდ, გაგრძელება იმ პოლიტიკისა, რომელიც აირჩია დამარცხებულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ - ეს გახლავთ ახალი ხელისუფლების დისკრედიტაცია. ხოლო პოტენციალი სიცრუის გავრცელებისა, მათ სხვაზე მეტი ჰქონდათ და ალბათ, აქვთ პრეტენზია, რომ რეგიონის ჩემპიონები არიან მის გავრცელებაში.

როდესაც საკითხი ეხება რომელიმე ფინანსური სახის დარღვევის შესწავლას, ნებისმიერმა, მეტ-ნაკლებად საქმეში ჩახედულმა პოლიტიკოსმა თუ დიპლომატმა უნდა შეძლოს საქმეში გარკვევა, რომ ქვეყანაში ტყუილდ რაიმე სტრუქტურა არ არსებობს.

როდესაც კონსტიტუციური ვალდებულებების მქონე უწყება, ამ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტრო, საკუთარი ინსტიტუციების მეშვეობით ფინანსური წესრიგის დამყარებაზე ვალდებულებას ახორციელებს, ის ხან ერთ საწარმოში შევა შესამოწმებლად და ხან მეორეში.

სუბიექტების დახასიათება იმის მიხედვით, პირველი პირი რა პოლიტიკური ინტერესებისაა, არ არის ძირითადი განმსაზღვრელი. მთავარია, სად არსებობს დარღვევა და სად არ არსებობს.

თუ ბატონი მერი, რომელიც სრულიად შეგნებულად გახდა აქტიური პოლიტიკური მოღვაწე და თვლის, რომ ის სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ სახე უნდა იყოს და არა საქართველოს დედაქალაქის, ასეთ პირობებში წინმსწრებად ისტერიკას ტეხს შემოწმების გამო და ცდილობს, რომ ეს წარმოადგინოს პოლიტიკურ შურისძიებად და არა კრიმინალთან ბრძოლად, რაც რეალურად ხდება.

არავინ არ შესულა შესამოწმებლად ჯერ, მაგრამ არაერთხელ გამოქვეყნდა ინფორმაცია მედიაში, რომ კონკრეტულ ბიზნესმენს თემურ ჭიჭინაძეს მერის სამუშაო კაბინეტში შუაღამისას გადააფორმებინეს საკუთარი ბიზნესი სხვის სახელზე, მერის თანდასწრებით, იქვე მიიყვანეს ნოტარიუსიც ამ საქმის სწრაფად მოსაგვარებლად. ამაზე ჯერ კითხვას არავინ არ სვამს და ახლა ეს ჩვენ რომ ვიკითხოთ, პოლიტიკური ზეწოლა იქნება? ამაზე რატომ არ ისმის მისი პასუხი? — საქმე ეხებოდა ათეულობით მილიონი ლარის ქონებას.

ეს გახლავთ იმ კამპანიის ნაწილი, რა კამპანიასაც ჩვენი „საშიშროების საბჭოს“ ხელმძღვანელობით ახორციელებენ უცხოეთში. ამისი ერთ-ერთი აქტიური შემოქმედი გახლავთ ბატონი გლუქსმანი, რომელიც პრეზიდენტის თანაშემწედ ითვლებოდა და ახლა მრჩეველია, რომელიც ზედსიძედ დაგვირჩა ქვეყანაში, ცხადია მტრულად არის განწყობილი ახალი ხელისუფლების მიმართ, რადგან სულ ორიოდე კვირიანი აღმოჩნდა მისი ბედნიერება, როდესაც მისი მეუღლე იყო შინაგან საქმეთა მინისტრი.

— ეკა ზღულაძის მეუღლეზეა ლაპარაკი?

— დიახ. ეს ადამიანი და მამამისი ფლობენ სერიოზულ გავლენას ფრანგულ მედიაზე, სადაც რომელიღაც შტატგარეშე ჟურნალისტი წერს, რომ თურმე „ნატოსთან და ევროკავშირთან დაჩქარებული ტემპით დაახლოება აღარ არის სტრატეგიული პრიორიტეტი პრემიერ-მინისტრისთვის“ და გულისხმობს ივანიშვილს.

ქალაქის მერის ეს საჯარო შფოთიც, იმის ნაწილია, რომ მის მიერ მოსვრილი კვალი რამენაირად გაწმინდოს. ყველაფერი მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ მას იმდენი აქვს დაშავებული ფინანსური კუთხით, რომ ამ საკითხის პოლიტიზირების გარდა, თავის მართლების სამართლებრივი საფუძველი არ დარჩენია.

— რომელიმე ევროპულ ქვეყანაში თანამდებობის პირი არამიზნობრივად იმდენს რომ ხარჯავდეს, რაც დაიხარჯა, მარტო ლას-ვეგასში ვიზიტებისას, საკითხავია, რა მოხდებოდა? უგულავა არც უარყოფს, რომ ასეთი „საქმიანი“ ვიზიტი შედგა, თუმცა მეორეა, რამდენად სარწმუნოა, რომ ის მართლაც ნაგვის მანქანების დასათვალიერებლად იყო...

— ნაგვის მანქანების დასათვალიერებლად ცოლის დასა და ქვისლთან ერთად ვინ დადის პლანეტის მეორე მხარეს? ან იმ გამორჩეულ პოლიტიკოსებს რა უნდათ, მეუღლეებთან ერთად რომ დაჰყვებიან ასეთ შორ მოგზაურობაში? ეს ტყუილები ჯერ ოჯახის წევრს დააჯეროს. სხვათა შორის, მშვენიერი ოჯახის შვილი გახლავთ, მაგრამ რას ვიზამთ, ცუდ წრეში აღმოჩნდა ჩვენი მერი და როგორც ჩანს, მისი მისწრაფებებიც განსხვავებულია.

ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ მას ახლა იმდენი პოლიტიკური ვალდებულება აქვს აღებული „ნაციონალური მოძრაობის“ წინაშე, რომ სხვაგვარად მოქცევის შემთხვევაში, შესაძლოა, თანაპარტიელების მიერ გასამართლებას მისთვის უარესი შედეგები მოჰყვეს.

სხვა ქვეყანაში რომ მომხდარიყო მსგავსი რამ, ბიუჯეტის ფულთან დაკავშირებით, არც ერთი მერი არ დარჩებოდა თავის თანამდებობაზე და როგორც კი გახმაურდებოდა ასეთი ფაქტები, თვითონვე გადადგებოდა.

როგორც დიმიტროვი ამბობს, ხელისუფლება უნდა შეეგუოს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებაში სხვა პარტიაა და ერთად იმუშაონ. ამ დროს ბიძინა ივანიშვილი საუბრობს იმაზე, რომ დასუფთავების სამსახურში ზონდერების მუშაობის შესახებ არსებობს ინფორმაცია. ეს ორი აბსოლუტურად განსხვავებული განცხადებაა და ფაქტობრივად, სხვადასხვა განზომილებაში უწევთ განცხადებების კეთება ჩვენს დასავლელ მეგობრებსა და საქართველოს ახალ ხელისუფლებას...

— დიმიტროვი თბილისში არ იყო მაშინ, როდესაც მენაგვეების ფორმაში გამოწყობილი ზონდერები არბევდნენ მიტინგს პარლამენტის წინ.

— დავინტერესდეთ, საკუთარ ქვეყანაში პრემიერ-მინისტრობის დროს ბატონი დიმიტროვი როგორ ებრძოდა კორუფციას. იქნებ თავად მოგვიყვეს საკუთარ თავს გადამხდარი ამბები — რა წარმატებით ებრძოდა კორუფციას და როგორ მოექცეოდა ის სოფიის მერს, თუ მის კაბინეტში მოხდებოდა მრავალმილიონიანი ქონების წართმევა და ერთ ადამიანზე გადაცემა? ჯერ ამ კითხვაზე გაგვცეს პასუხი ბატონმა დიმიტროვმა და მერე დაიწყოს სხვისი ჭკუის სწავლება.

— გიგი უგულავა კი სახელმწიფოს მიერ რეპრესიული აპარატის ჩამოაყალიბებას და თვითმმართველობების ჯალათებზე საუბრობს...

— სხვა გზა არ დარჩენია, ის იმდენად უნდა დაუპირისპირდეს ახალ ხელისუფლებას, რომ რამენაირად დაიმსახუროს პოლიტიკური ოპონენტის სახელი. იმიტომ, რომ ის აღმოჩნდეს არა კრიმინალი, ქურდბაცაცა და ყაჩაღი, არამედ პოლიტიკოსი, რომელიც არ იზიარებს ამ ხელისუფლების პოლიტიკურ ხედვას.

მიამიტი უცხოელებისთვის, ეს შესაძლოა, დამაჯერებელი იყოს, მაგრამ ძალზე ცოტა ხნის განმავლობაში. როგორც კი ყველაფერს ფარდა აეხდება, რა საკვირველია, სირცხვილის გრძნობა უნდა დაეუფლოს ბატონ რასმუსენსაც, ქალბატონ ეშტონსაც და იმ დიპლომატებსაც, რომელთათვისაც დღეიდან იწყება საქართველოში ანა-ბანას სწავლება იმის თაობაზე, თუ რა არის საქართველო. ამის დასაწყისი გახლავთ თეა წულუკიანის შეხვედრა დიპლომატიურ კორპუსთან. ასეთი შეხვედრები, ანუ რუსულ ფრაზას თუ მოვიშველიებთ — Ликбез (ликвидация безграмотности) აუცილებელია სამწუხაროდ, საქართველოში აკრედიტებული ელჩების ნაწილისთვის.

საბედნიეროდ, ეს არ ეხება აშშ-ის ელჩს, რომელიც საქართველოში ჩამოსვლამდეც შესანიშნავად ფლობდა ინფორმაციას აქაურობის შესახებ, ისე, როგორც მისი წინამორბედი.

— თუმცა, ბოლოს საქართველოზე „ვაშინგტონ პოსტში“ დაბეჭდილი სტატიის მიხედვით ეს არ იგრძნობა...

— „ვაშინგტონ პოსტი“ ის გაზეთია, რომელიც სიამოვნებით უთმობს საკუთარ ფურცლებს ლობისტურ კომპანიებს და ჩვენ მოწმენი ვიყავით არჩევნების წინ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ ლობისტების მიერ შეთავაზებული მასალები იბეჭდებოდა ამ გაზეთში. ასე რომ, მათ რაიმე პოლიტიკურ ორიენტაციას ნუ დავაბრალებთ. ეს არის უბრალოდ, სივრცე, რომელიც ქირავდება და ამ სივრცის მიტოვება ნაადრევად მოუვიდა „ქართულ ოცნებას“. ვფიქრობ, უპრიანი იქნება, რაც შეიძლება მალე აღადგინონ საკუთარი კონტაქტები, რათა სიმართლემ რაც შეიძლება ჩქარა მიაღწიოს ჩვენს დასავლელ პარტნიორებამდე. ასევე საზოგადოების იმ ნაწილთან, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ სიცრუის ტყვეობაში ნაციონალისტების ლობიზმის ზეგავლენით.

რეალურ სიტუაციას რომ შევეხოთ — როგორც ფინანსთა მინისტრი განმარტავს, დასუფთავების სამსახურში ფინანსთა სამინისტრო შესულია ორი წლის წინ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე. მაშინ, როცა საგამოძიებო სამსახური უწყებაში შევიდა, ის იქიდან ორ საათში გამოიყვანეს და მათ უბრალოდ, განაახლეს ამ საქმის შესწავლა. ანუ, ეჭვები ყოველთვის არსებობდა, რომ ამ სამსახურში რაღაც ხდებოდა.

— ამას ეჭვები აღარ ჰქვია, ეს არის სრულიად არაადეკვატური ხარჯების უკვე უტიფრად დაფიქსირება მერიის ხარჯებში, როგორიცაა, მაგალითად, თბილისის მერიის გუდაურის კურორტის მშენებლობაში მონაწილეობა. მაგრამ როცა ჩავხედავთ უფრო გრძელ სიას, რასაც აქვეყნებს ბატონი ხადური, რაში იხარჯებოდა ფული და რა წყაროთი, მაშინ, ვფიქრობ, მთელი რეგიონები აჯანყდებიან, რადგან სწორედ რეგიონული ფონდებიდან იხარჯებოდა თანხები ამ რეგიონებთან არანაირი კავშირის მქონე ღონისძიებებისთვის.

თუკი ვინმესთან პრეტენზია უნდა ჰქონდეს თბილისის მერს, ეს არის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ვანო მერაბიშვილი, რომელმაც უკვე შუა ოქტომბერში დაიწყო ბიუჯეტის დარღვევა და სოციალური დახმარებები მერიას ჯანდაცვის სამინისტროსთვის გადაამისამართებინა. აი, საიდან დაიწყო კრიმინალური ქმედებები — ერთმა ჩაიფიქრა — მეორემ განახორციელა. როდესაც განმხორციელებელს პასუხს მოსთხოვენ, იძულებული იქნება, მოიყვანოს საკუთარი თავის გასამართლებლად ის დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს მერაბიშვილი. თუმცა, ეს შეიძლება, შედარებით ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდეს.

ლალი ზირაძიშვილი

◎ ინფორმაცია

სოციალურად დაუცველმა 41-მა ოჯახმა დახმარებაზე უარი განაცხადა

სახელმწიფოსგან ბინის ქირის დასაფარად გათვალისწინებული დახმარების მიღებაზე 850-მა სოციალურად დაუცველმა ოჯახმა თანხმობა, 41-მა კი უარი განაცხადა. ამის შესახებ ჟურნალისტებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგიენკომ მიაწოდა.

მისივე განმარტებით, მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებული ნაწილი ბინის ქირის გადახდით მინიმუმ 6 თვის განმავლობაში იქნება უზრუნველყოფილი. — 6 თვის შემდეგ მოსალოდნელია, რომ საკუთრივ სოციალური დახმარებები გაიზარდოს და მათ თავად შეძლონ ბინის ქირის დაფარვა, — აღნიშნა სერგეენკომ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ქაოსსა და განუკითხაობას ველარ შევურიგდებით

უკვე მერამდენედ ვუბრუნდებით ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 2010 წლის 6 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში დასმულ საავტომობილო ტრანსპორტისა და მგზავრთა მომსახურების უმტკივნეულეს პრობლემებს, მკითხველს შეიძლება სათვალავიც აერიოს. მთელ ამ პერიოდში, როცა ეს წერილები ქვეყნდებოდა („საქართველოს რესპუბლიკა“, 2010 წლის 6, 14, 15, 20 და 2011 წლის 26 იანვარი, 15, 17, 23 სექტემბერი), იმდენი რამ მოხდა და შეიცვალა, ვითომ დარგში რეფორმები განხორციელდა, „ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციას“ სახელი შეეცვალა და „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“ დაერქვა, ამასობაში, როგორც ხალხში იტყვიან, ვირი ხეზეც ავიდა, მაგრამ თავად ხსენებულ დარგს რეალურად არაფერი შეხებია, ერთხელ ამღვრეული წყალი ოდნავადაც არ დაწმენდილა.

კერძოდ, რა პრობლემებსა და სატკივარზეა ლაპარაკი? როგორც გაზეთში დასტამბულ პუბლიკაციებშია აღნიშნული, ქვეყნის შიგნით საქალაქთაშორისო და საგარეუბნო მარშრუტებზე მგზავრთა გადაყვანისა და მომსახურებაში სრული ქაოსია გამეფებული, რის გამოც ზარალდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტი, ასევე უკმაყოფილონი არიან ავტოსადგურების მუშაკები, გადამყვანები და მგზავრები. იმის გამო, რომ განსაზღვრული არ არის საავტომობილო გადამყვანების მოვალეობები, უფლებები და პასუხისმგებლობა, ეს იწვევს დარგის საქმიანობაში უამრავ ხარვეზსა და გაუგებრობას. ხშირია შემთხვევები, როცა ავტოსადგურიდან ავტობუსი გასვლას აგვიანებს ან საერთოდ მარშრუტი იშლება, მაგრამ ამაზე პასუხს არავინ აგებს.

ბოლო წლებში საავტომობილო ტრასებზე მომრავლდნენ ეგრეთწოდებული „ხიშნიკები? რომლებიც ავტოსადგურებში საერთოდ არც შედიან და პირდაპირ გზიდან იტაცებენ მგზავრებს. სწორედ ეს იწვევს შემდეგ გზაში უამრავ დარღვევებსა და გაუგებრობას, მეტი მგზავრის გადაყვანის მიზნით მძღოლების გაჯიბრებას, რაც არც თუ იშვიათად ავარიითა და ტრაგიკული შემთხვევებით მთავრდება. ზოგნი ამ უწესრიგობისა და დომხალის გამართლებას საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ლიბერალიზმის მოშველიებით ცდილობენ. მავანი ფიქრობს, რომ რაკი ავტოტრანსპორტი კერძოა, მის მძღოლს როგორც მოეპრიანება და როგორც მის ჯიბეს მოერგება, ისე შეიძლება მოიქცეს. ლიბერალიზმის ასეთ გაგებას, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით. მიგვაჩნია, რომ გადამყვანების პროცესის მონაწილე სუბიექტები სიტყვით ლიბერალობენ, საქმით კი ფაქტობრივად სახელმწიფო თანხებს ითვისებენ.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ავტოსატრანსპორტო სექტორში ქაოსსა და განუკითხაობას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს და დარგიც ნორმალურად განვითარდეს? საქართველოს ტრანსპორტის აკადემიის პრეზიდენტის **რაჟდენ კიკილაშვილის** აზრით, ამისათვის საჭიროა მგზავრთა გადაყვანის ცალკეულ სახეებში ძირეული ცვლილებები განხორციელდეს და ყველასათვის მისაღები ფორმები დაინერგოს. ლაპარაკია სატრანსპორტო პროცესში მონაწილე სუბიექტებისთვის მისაღები მომსახურების პირობების დანერგვაზე, მგზავრთა კეთილმომსახურების გაუმჯობესებაზე, მეწარმე-გადამყვანებისთვის თანაბარი კონკურენტული გარემოს შექმნაზე, მგზავრების საიმედობასა და უსაფრთხოებაზე და სხვა უამრავ სატკივარზე. ალბათ, ყოველივე ამის მოგვარებას ისახავდა მიზნად, როცა ქვეყანაში შეიქმნა სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო. იგი მოვალეა, უზრუნველყოს ცალკეული საკანონმდებლო ცვლილებების და ბიზნესის ხალშემწყობი პოლიტიკის გატარება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მგზავრთა მომსახურებაში სათანადო წესრიგის დამყარებას. ფაქტია, რომ ამის გაკეთება მან დღემდე ვერ შეძლო.

— მაგრამ საამისოდ საჭიროა დარგის დაფინანსება. ბატონო რაჟდენ, ხომ არ დაინტერესებულხართ, ამ მხრივ როგორი რესურსები გააჩნია სატრანსპორტო სააგენტოს?

— რესურსებზე საწუწუნო არაფერი აქვთ. გასულ 2011 წელს სააგენტოს საერთო შემოსავალმა 1982,5 ათასი ლარი შეადგინა, რომელიც მათ თანამშრომელთა ხელფასებზე, სხვადასხვა საქონლის და მომსახურების შესყიდვაზე, ოფისების კეთილმოწყობასა და საგადასახადო ვალდებულებების შესრულებაზე დახარჯეს. მიმაჩნია, რომ გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე სახმელეთო ტრანსპორტის ასეთი გულუხვი დაფინანსება მიზანშეუწონელია არც თუ ისე შრომატევადი სამუშაოების შესასრულებლად, რომელიც მათი დებულებით არის გათვალისწინებული. საჭიროა ამ დებულების დამატებით საგენტოს დაევალოს მგზავრთა საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ მარშრუტებზე სათანადო წესრიგის დამყარება, რაც მგზავრთა გადაყვანის მოცულობაში არის განსაზღვრული.

— ჯერ კიდევ შარშან იანვარში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვწერდით, რომ აუცილებლად მიგვაჩნია ამ საქმეში საქართველოს ტრანსპორტის აკადემიის ჩართვა და სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოსთან მისი აქტიური თანამშრომლობით პრობლემების ერთობლივად გადაჭრა. საინტერესოა, როგორი თვალით შეხედეს ამ წინადადებას სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელებმა და შედგა თუ არა ასეთი ურთიერთთანამშრომლობა?

— მინდა კატეგორიულად განვაცხადო, რომ არავითარი თანამშრომლობა არ შემდგარა. ჩვენი მხრივ საქმისათვის მცდელობა არ მოგვიკლია, ტრანსპორტის აკადემიამ სააგენტოს როგორც წერილობით (2010 წლის №02-1, №02-2, 2011 წლის №02-1, №02-2, №02-3), ასევე პირადი შეხვედრების დროს, შევთავაზეთ ჩვენი ხედვები იმასთან დაკავშირებით, რომ შექმნილიყო სრულყოფილი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტულ გადაყვანას, მაგრამ რაც უნდა საოცრად მოგეჩვენოთ, მათ ეს შეთავაზება არ მიიღეს.

— ჩანს, თქვენთან თანამშრომლობა არ ისურვეს, მაგრამ ამის მიზეზად რა დაასახელეს?

— თავის მართლება არც უცდიათ. მათ ჩვენთან ურთიერთობას ფრანგული სააგენტოს ექსპერტებთან თანამშრომლობა ამჯობინეს და ამჟამად მათთან ერთად აწარმოებენ საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანის მდგომარეობის შესწავლას და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას.

— თქვენი აზრით, რამდენად წაადგება ასეთი თანამშრომლობა დარგის განვითარებას და იქნება თუ არა მომგებიანი ქართული მხარისთვის?

— მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფრანგები ჩვენ სპეციალისტებზე უფრო პროფესიონალურად და ნაკლები დანახარჯებით ვერ შეასრულებენ ამ სამუშაოს. ამიტომ ვისი მხრიდანაც უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილება მათი მოწვევის შესახებ, ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო ვერ იქნება. გაუგებარია, რა საჭირო იყო უცხოელების მოწვევა, როცა გაცილებით იაფად შეგვეძლო ამის გაკეთება. უცხოელი სპეციალისტების ჩვენთან მუდმივად ყოფნა ხომ ძვირადღირებული სიამოვნებაა, რის საშუალებაც ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია.

— შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტრანსპორტის სააგენტოსთან თანამშრომლობაზე თქვენ საბოლოოდ ხელი ჩაიქნიეთ?

— სულაც არა, ჩვენ კვლავაც ველით ტრანსპორტის სააგენტოდან ჩვენს შეთავაზებაზე პასუხს და მზად ვართ, მასთან შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნაყოფიერად ვითანამშრომლოთ. მინდა, საჯაროდ განვაცხადო, რომ ქართველი პროფესიონალები, რომლებმაც მთელი შეგნებული ცხოვრება მოვახმარეთ ქვეყნის საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებას, ვერ შევეგუებით ეკონომიკის ამ მნიშვნელოვანი დარგის დაკნინებას და თვითდინებით ფუნქციონირებას, ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ ის კვლავ დაუბრუნდეს წამყვან პოზიციას, როცა მას თავისი საექსპლოატაციო და საფინანსო-ეკონომიკური შედეგებით, ქვეყნებს შორის მოწინავე ადგილი მყარად ეკავა.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება შექმნილი რეალობიდან? ვფიქრობთ, ტრანსპორტის აკადემია და სააგენტო რაც უფრო მალე გააფორმებენ ხელშეკრულებას და ერთობლივად ითანამშრომლებენ ავტოსატრანსპორტო პრობლემების დასაძლევად, მით უფრო სწრაფად გადაწყვეტენ დარგის წარმატების ბედს. მაგრამ სატრანსპორტო სააგენტოს ხელმძღვანელობის მხრიდან ამის სურვილი რომ არ იგრძნობა? ბოლო წლებში აქ მხოლოდ ხელმძღვანელობა იცვლება, დარგში არსებული ქაოსი და განუკითხაობა კი უცვლელი რჩება. აქაური თავკაცობა, ალბათ, ამჯერადაც მორიგ ცვლას და ჩაფლავებული რეალობისგან ხელის დაბანას ელოდება.

იქნებ, ახლა მაინც, როცა ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლება მოვიდა, საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროები დაინტერესდნენ დარგში შექმნილი მძიმე მდგომარეობით და ჩაატარონ მონიტორინგი იმ თანხების გამოსავლენად, რომელსაც ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელობის უკანონო და უყაირათო საქმიანობის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტი კარგავს.

ოთარ ხუციშვილი

◎ „რენესანსი დაიწყო“

ბიზნესმა გარკვეული შეღავათი უკვე იგრძნო

უკვე ორი თვეა საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა. მოსახლეობამ, ჯერჯერობით, განსაკუთრებული შვება ვერ იგრძნო. საინტერესოა, ამ ცვლილებით ეშეღავათა თუ არა ბიზნესს, რომელსაც განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ტერორის ქვეშ უწევდა საქმიანობა.

„სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან რთული და მძიმე მემკვიდრეობა გვერგო. შექმნილი იყო ე.წ. სქემები, დაჯგუფებები, პრივილეგირებული ბიზნესები და ა.შ. ძალიან ღრმად ჰქონდათ ამ დაჯგუფებებს ფესვები გადგმული და რაც დრო გადიოდა, ამ ბიზნესმენების კისერზე ყულფი უფრო და უფრო ვიწროვდებოდა იმიტომ, რომ შემოსავლების ნაკადი მცირდებოდა, შესაბამისად, ოლიგარქების ნაწილი ძალიან აქტიურობდა. ეს პროცესი ძალიან შორს იყო წასული. ახლა უნდა დაიწყოს პირიქით პროცესი“, — აცხადებს „ისთ გეით ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ბიზნესმენი ირაკლი იაშვილი.

დაახლოებით ამგვარ მოსაზრებას ავითარებს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი. მისი თქმით, მსხვილი და საშუალო ბიზნესის იმ წარმომადგენელთა ნაწილი, რომლებიც წინა ხელისუფლებასთან „მეგობრობდნენ“, თავის მხრივ სხვა ბიზნესს ატერორებდა.

„ის, რომ წინა ხელისუფლების პირობებში ბიზნესი, პრაქტიკულად, დატერორებული იყო, არავისთვის არის საიდუმლო. არსებობდა მეორე ფენომენიც: იმის გამო, რომ ტერორის ქვეშ იყვნენ, არაერთი მსხვილი თუ საშუალო ბიზნესმენი მჭიდროდ თანამშრომლობდა, მეგობრობდა სახელისუფლებო წრეებთან — იქნებოდა ეს ადგილობრივი თვითმმართველობა თუ ცენტრალური ხელისუფლება.

ზოგიერთი მათგანი, ვინც მეგობრობდა სახელისუფლებო წრეებთან, თავის მხრივ შემდგომ ატერორებდა სხვა ბიზნესს. ბევრი ეს ფაქტი საზოგადოებისთვის ცნობილი იყო, მაგრამ, გარკვეულწილად, ბიზნესმენებს შორის პრობლემები დაკონსერვდა იმიტომ, რომ ყველაფერი კონტროლდებოდა წინა ხელისუფლების მიერ და მათ შორის ჩემი წინამორბედის მიერაც“, — განაცხადა წულუკიანმა.

მისი თქმით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ბიზნესმენებს შორის დავები გახშირდა, და ეს მოულოდნელი არავისთვის არ ყოფილა, მათ შორის არც სამართალდამცველი ორგანოებისთვის.

მეორე მხრივ საინტერესოა: ახალი მთავრობის მცდელობას გრძნობენ თუ არა უშუალოდ ბიზნესმენები. ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ყინული უკვე დაიძრა.

„ამ სქემების დაშლა, გათავისუფლება, ამ ბიზნესმენებისთვის მარყუჟების მოხსნა, სახელმწიფოს მიერ მიტაცებული ფუნქციების დაბრუნება კერძო სექტორისთვის, ეს ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესია. მე ამ ყველაფრის პირველ მცდელობებს და ნიშნებს ვხედავ ზოგიერთ სფეროში.

მაგალითად, ინფრასტრუქტურის სამინისტრო ძალიან აქტიურად მუშაობს ე.წ. ტენდერებზე. ერთდღიანი კომპანიები რომ იგებდნენ უზარმაზარ და მრავალმილიონიან ტენდერებს, აღარ ჩანს. აბსოლუტურად გამჭვირვალედ ცდილობს ეს სამინისტრო, რომ გაიხსნას ეს თემები და ინფორმაცია იყოს ხელმისაწვდომი. გავიდეს ჯერ ცოტა პერიოდი. ჩვენი სურვილია, რომ ის დაიშალოს და გაიხსნას სივრცე ყველასთვის თანაბარი პოზიციებით“, — აცხადებს ირაკლი იაშვილი „კომერსანტთან“ საუბრისას.

ბიზნესმენთა ერთი კატეგორია კი აშკარად აღფრთოვანებულია მიმდინარე პროცესებით. სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება კომპანია „რედიქსის“ მფლობელი ლაშა პაპაშვილი. გაუმართლა თუ არა ახალი ხელისუფლების პირველმა ინიციატივებმა იმედები, პაპაშვილი მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლა: „რენესანსი დაიწყო, ამის ნიშანი არის ერთსულოვნება, ყველა ბედნიერია!

გიორგი ბეძაური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ვინ, სად, როგორ?

„თვით ნაპოლეონიც კი, საკაშვილთან შედარებით, ნაკლებ თანხას მოიხმარდა“

„პრეზიდენტის შენახვა დღეში 140 000 ლარი გვიჯდება“, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განუცხადა. მისი თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტში შესაძლოა, პატარა ცვლილებები კვლავ შევიდეს, თუმცა, მთავარია, რომ შემდეგი წლის ბიუჯეტი ხარისხობრივად განსხვავებული იქნება.

კერძოდ, ბიძინა ივანიშვილის განმარტებით, ისევ ძალაში რჩება პრეზიდენტის, ქალაქის სამშენებლო და სხვა გაურკვეველი ხარჯების შემცირების საკითხი. პრემიერის თქმით, ამ ხარჯების შემცირებით, ახალმა ხელისუფლებამ იმხელა ეკონომია გასწია, რომ ამის ხარჯზე სერიოზულად მოხერხდება სოციალური სფეროს დაფინანსება.

„პრეზიდენტის შენახვა დღეში ქვეყანას 140 000 ლარი უჯდება. მხოლოდ კანცელარიის მაგალითზეც რომ გითხრათ, თუკი თვეში აქ 48 ტონა საწვავი მოიხმარებოდა, ახლა ჩვენ გვჭირდება მხოლოდ 7,5 ტონა. თითქმის ხუთჯერ შემცირდა ხარჯები სხვა კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაშიც“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თვით ბუკინგემის სასახლეში ბევრ ადგილას შეხვდებით ტაბლოს, რომელზეც მომსახურე პერსონალს ელექტროენერგიის ეკონომიასთან დაკავშირებით აფრთხილებენ, დედოფალი ელისაბედ მეორე კი დადის და ნათურებს აქრობს, გასაგებია, რომ საქართველოში ასეთი ნებაყოფლობითი ჟესტი უცნაური იქნებოდა.

პრეზიდენტის ხარჯების არამართლზომიერებაზე საუბრობენ ექსპერტებიც და ვერ იხსენებენ ჩვენისთანა ღარიბი ქვეყნების პრეზიდენტების მაგალითს, რომლებიც თავს ასეთი ფუფუნების უფლებას მისცემდნენ.

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე **For.ge**-სთან საუბარში ადასტურებს, რომ ყოველდღიურად 140 ათასის დახარჯვა ზოგისთვის მართლაც ბევრია, ზოგისთვის კი — უმნიშვნელო. მაგალითად, **საუდის არაბეთის მეფისთვის ეს მხოლოდ კაპიკებია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ საუდის არაბეთის მეფის ოჯახის წევრების პრესტიჟი იმით იზომება, რომ აუცილებლად მონტე კარლოში ან ლას ვეგასში უნდა ჩავიდნენ და ერთი მილიონი დოლარი უნდა წააგონ კაზინოში, რადგან იქ იწერება, თუ ვინ წააგო მილიონზე მეტი და ამას ოქროს დაფას ეძახიან. ამდენად, საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის ყველა პრინცი, როგორც წესი, მოღვაწეობას იმით იწყებს, რომ მილიონს აგებს მონტე კარლოს კაზინოში.**

თუმცა, სოსო ცინცაძის აზრით, **საქართველოსთანა ქვეყანაში, სადაც ლტოლვილებს 30 ლარი შემწეობა ეძლევათ და უმწეობის ზღვარს მიღმა მყოფი უამრავი ადამიანი დახმარებას ითხოვს, პრეზიდენტის ყოველდღიური „ბიუჯეტი“ ცინიზმია.**

მისივე თქმით, **ინგლისის დედოფლის ელისაბედ მეორის წლიურ ცივილურ ბარათზე ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხა, დღიურად რომ გადავიანგარიშოთ, ამდენი ნამდვილად არ გამოდის. უფრო მეტიც, ნაპოლეონი, რომელსაც ყველა ომის შემდეგ 200, 300, 400 და 500 მილიონი ფრანკი შეჰქონდა ბიუჯეტში, რადგან ის, როგორც გამარჯვებული, ხარკსა და რეპარაციებს (ფულადი ან ნატურალური გადასახადი, რომელსაც ომში დამარცხებული ქვეყანა გამარჯვებულს უხდის) აწერდა დამარცხებულ ქვეყნებს, მასაც არ ჰქონია ამდენი თანხის განკარგვის საშუალება. არადა, ნაპოლეონიც ცივილური ქაღალდით იღებდა ხელფასს.**

ყოფილი ფინანსთა მინისტრი დავით იაკობიძე მიიჩნევს, რომ ყოველდღიურად 140 000 ლარად პრეზიდენტის შენახვა ჩვენი ქვეყნისთვის აურაცხელი თანხაა. უფრო მეტიც, არსად მსოფლიოში პრეზიდენტის შენახვა ასე ძვირი არ ჯდება.

„ამ 140 ათასი ლარის მიღმა ბიძინა ივანიშვილმა იგულისხმა პრეზიდენტის სამუშაო ადგილი. სწორედ მისი შენახვა ჯდება ამხელა თანხა, მისი სასახლე, სასახლის მომსახურე პერსონალი, ავტომობილი, თვითმფრინავები, ბენზინი და ის განუკითხაობა, რომელიც იქ არის. მაგალითად, ბუღალტრები ბენზინის 100 ტონას ჩამოწერენ და კაციშვილი არ არის გამკითხავი, სინამდვილეში, რამდენი დაიხარჯა. ეს ადგილი კორუფციის ბუდეა“, — აცხადებს დავით იაკობიძე For.ge-სთან კომენტირებისას.

მანვე გაიხსენა ყველაზე ღარიბი პრეზიდენტის შესახებ სულ ახლახან ინტერნეტით გავრცელებული კადრები, სადაც ურუგვაის პრეზიდენტი ხოსე მუხიკა თითქმის მთელ ხელფასს ქველმოქმედებას სწირავს და 12 500 დოლარიდან მხოლოდ 1250 დოლარს იტოვებს თავისთვის.

„ეს ადამიანი თავისი ხელფასის მხოლოდ ერთ მეცხრედს იღებს და ცხრა მეათედს სწირავს უპატრონო ბავშვებს. მოკრძალებულ სახლში ცხოვრობს და ძველი ავტომობილით გადაადგილდება. სხვა ქვეყნებშიც პრეზიდენტები ცდილობენ, რაც შეიძლება, ნაკლები მიიღონ თვითონ და ხალხს გაუნაწილონ“.

დავით იაკობიძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტისთვის შეიძლება, დასაშვები იყოს არაუმეტეს 3-4 მილიონამდე წელიწადში.

მანანა ნოზაძე

◎ კრიმინალი

საკაშვილის ხროვას შეწირულნი

პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის საქმე საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობია. ამაზე მთავარმა პროკურორმა ვრცლად ისაუბრა სატელევიზიო გამოსვლაში. თუმცა, არსებობს დეტალები, რომლებზეც ქვეყნის პირველ პროკურორს ყურადღება არ გაუმახვილებია.

ბუდე

ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილის განმარტებით, საკაშვილს ყოველთვის, როდესაც პირადად მისი ან მისი გუნდის ირგვლივ შავი ღრუბლები იკრიბებოდა, ყოველთვის ჰქონდა შიდა დაძაბულობიდან ყურადღების გარე საშიშროებაზე გადატანის ობიექტი — **რუსეთი.** მისი იდეოლოგები ქმნიდნენ ისეთ სურათს, რომ მთელი რუსეთი ებრძვის საქართველოს, გეგმავს და უწყობს მას ტერაქტებს. ადვოკატი ამის მაგალითებად ასახელებს „კოჭოიას“ საქმეს, ჯაშუშური ქსელის გამოაშკარავებას, „ენვერის“ გახმაურებული სერიალის შექმნას და ა. შ. ნიკოლაიშვილის გადმოცემით, თეთრაძესთან ერთად დაკავებული მისი დაცვის ქვეშ მყოფი ე. წ. ჯაშუშური ქსელის წარმომადგენლებიც (ლონდარიძე, გორელაშვილი, ჩაპლიგინი) ამ ისტერიული სცენარის მსხვერპლი შეიქნენ.

როგორ გახადეს თეთრაძე ჯაშუში

ადვოკატის გადმოცემით, ამჟამად მისი დაცვის ქვეშ მყოფმა ლონდარიძემ უამბო მას, თუ როგორ აწამებდნენ თავდაცვის სამინისტროში ჯაშუშობაში მონაწილეობის აღიარებითი ჩვენების მისაღებად. სასურველის მიღების შემდეგ ბაჩო ახალაია, მეგის ქარდავა და მე-8 საპყრობილის უფროსი ალექსანდრე მუხაძე ლონდარიძეს წამების, ცემის, გაუპატიურების ინსცენირებით აიძულებდნენ, აგენტობაში თანამონაწილედ დაეყენებინა გენერალი ნაირაშვილი, პოლკოვნიკი თეთრაძე ან მისთვის სრულიად უცხო მესამე პირი. ლონდარიძის განმარტებით, ამ სამეულიდან იგი მხოლოდ თეთრაძეს იცნობდა და ხელიც მასზე დაადებინეს.

ვიდრე ლონდარიძისგან აღიარებით ჩვენებას მიიღებდნენ, ნაცემ-ნაწამებ კაცთან საკანში შევიდა დათა ახალაია. მას დასისხლიანებულისთვის ხელი არ უხლია, მხოლოდ „კეთილ“ რჩევებს აძლევდა — ხომ იცი, ჩემი ძმა რა გიჟია, აღიარე, რასაც გეუბნებიან, თორემ მოგკლავენო. მთავარ პროკურორს ნიკოლაიშვილის დაცვის ქვეშ მყოფი ლონდარიძე, გორელაშვილი და ჩაპლიგინი არ დაუსახელებია, რადგანაც ეს პირები თეთრაძის ცემა-წამების ფაქტს არ დასწრებიან. მაგრამ მათი საქმე ცალკეა გამოყოფილი და დაკითხვები მალე დაიწყება. ადვოკატი ამბობს, რომ სამეულს იგივე თანამდებობის პირები და სხვები აწამებდნენ. ნაცემებს მათი ამოცნობა შეუძლიათ.

ნიკოლაიშვილი აცხადებს, რომ ნაციონალური რეჟიმის პირობებში თეთრაძისა და მასთან ერთად დაკავებულების საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ედო. ადვოკატის განმარტებით, მის საქმეში საიდუმლო დიდი არაფერი იყო. უბრალოდ გრიფი იმისთვის იყო საჭირო, რომ ადვოკატებს სადმე რამე არ წამოსცდენოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა. თუმცა, რომელი ადვოკატი გამოიტანდა ინფორმაციას? — ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულებს ხომ თავიანთი ადვოკატების აყვანის უფლება არ მისცეს, თვითონ ბრალმდებლებმა დაუნიშნეს სახაზინო, თავიანთი „უფლებების დამცველი“.

გელა ნიკოლაიშვილის განმარტებით, ამჟამად მისი დაცვის ქვეშ მყოფებთან გაფორმდა საპროცესო გარიგება, რის შემდეგაც მათ 6-6 წელი თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. აქედან 3 წელი პატიმრობა, 3 წელი — პირობითი სასჯელი. ამჟამად სწორედ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება საჩივრდება. ადვოკატის თქმით, ბაჩო ახალაიას და საქართველოში არმყოფ ქარდავასა და მუხაძეს ბრალი უფრო დაუმძიმდებათ.

...2011 წლის 17 სექტემბერს ოჯახიდან ჯაშუშობის ბრალდებით გაყვანილი თადარიგის პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე, რომელსაც საქართველოს თავდაცვის სისტემასთან აღარავითარი შეხება აღარ ჰქონდა, ოჯახს ერთ კვირაში გარდაცვლილი მოუსვენეს.

ზაზა ბილიხოძე

◎ სარედაქციო ფოსტიდან

იქნებ, ამ საკითხზეც გვეფიქრა

დღეს, როდესაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოწესრიგების საკითხში პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა და პრემიერ-მინისტრის დავალებით რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ყოფილი ელჩი, პოლიტოლოგი ზურაბ აბაშიძე იზრუნებს, ჩემი აზრით, უკვე შეიძლება ხსენებული საკითხიდან ორ გამოკვეთილ პრობლემაზე საუბარი, რომელთაგან პირველი უფრო რეალურად გვესახება, მეორე კი — საკმაოდ რთულად. პირველი საკითხი რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ ურთიერთობათა რეანიმაცია, მეორე — აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გაუქმება და საქართველოს დეოკუპაციაა.

საზოგადოებას უნდა შევახსენო ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიების შესახებ, რომელიც ხორცს შეასხამდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოწესრიგების საკითხს. ეს გახლავთ ტრანსკავკასიის სარკინიგზო მაგისტრალის დაკონსერვებული მშენებლობის აღდგენა. ამ საკითხზე ფიქრი ყოველთვის აღმძვრია, როდესაც ახალი ავტოსტრადით გორის მიმართულებით მივდივარ და სოფელ აღაიანთან არმისულს შემინიშნავს სარკინიგზო გადასასვლელ გზაჯიდისთვის მოწყობილი რკინაბეტონის საყრდენები. როგორც ვიცი, ამ რკინიგზის რამდენიმე სხვა რთული კვანძიც მოწყობილია და დროებით შენობა-ნაგებობებზეც ათვისებულია გარკვეული თანხა. რაც მთავარია, სრულყოფილი პროექტი „თაროზე“ დევს და მცირეოდენი კორექტირების შემდეგ შეიძლება იყოს გამოყენებული.

მკითხველს შეიძლება დაებადოს შეკითხვა — ეს რა, თვითმიზანია? მეორე ლაზიკასთან ხომ არ გვაქვს საქმე?

არა, ბატონებო, ამას ლაზიკასთან საერთო არაფერი აქვს. ჯერ ერთი, ჩემი აზრით, მშენებლობის აღდგენა-არაღდგენის საკითხი უნდა გადაწყდეს მის ეკონომიკურ სარგებლიანობასთან დამოკიდებულებაში, ანუ სრულყოფილი ტექნიკურ-ეკონომიკური პროგნოზირების შესრულებისა და, რაც მთავარია, შესაბამისი დაფინანსების წყაროების მოძიების შემდეგ (სხვათა შორის, აქ დაინტერესებული ქვეყნების, განსაკუთრებით კი თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წილობრივი მონაწილეობაც არ არის გამორიცხული).

წინასწარი მონაცემებით ამ სარკინიგზო მაგისტრალის ექსპლუატაციის ერთ-ერთ დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს, საერთო ინტერესების წარმოქმნასთან დაკავშირებით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაჯანსაღება (ნებისმიერი სახის საერთო სარგებლობის გზას ეს თვისება გააჩნია); შემდეგი ეკონომიკური სარგებლიანობაა საერთაშორისო ბაჟი, რაც ჩვენს ბიუჯეტს საგრძნობლად წაადგება (იგულისხმება რუსეთის ტვირთების მნიშვნელოვანი ნაკადი თურქეთისა და სხვა სამხრეთ ქვეყნების მიმართულებით და, პირიქით, სამხრეთ ქვეყნებიდან რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართულებით).

კიდევ ერთი, რითაც ამ ობიექტს სიკეთის მოტანა შეუძლია — ეს ადამიანთა მასობრივი დასაქმებაა როგორც მშენებლობის პერიოდში, ისე ექსპლუატაციისას.

ათვისებული იქნება და ხალხის სამსახურში ჩადგება კავკასიის ქედის სამხრეთ ფართობის გაურკვეველი სივრცე, რომელიც კეთილმეზობლობას გაუწევს თავის მოსაზღვრე რეგიონებს როგორც დასავლეთით, ისეაღმოსავლეთით. დამაგრდება საზღვრები ჩრდილოეთ მეზობლებთან.

მგონი, ღირს ამ საკითხებზე დაფიქრება.

რევაზ ტყემალაძე,

ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №198

***რომორი** იყო ის ეპოქა, რომელიც უკვე დაგვშორდა, თავისი ცრემლებით თუ სიხარულებით, თავისი ფარული იდეალებით, გამოხატული თუ გამოუხატავი ფიქრებით...*

გასული საუკუნის ყველაზე მძიმე და მკაცრი იდეოლოგიით დაღდასმულ წლებში როგორ იბადებოდა რომანტიზმი, ადამიანების ფაქიზი, დახვეწილი ურთიერთობები, ქართული ინტელიგენციის კულისებს მიღმა არსებული ნამდვილი ცხოვრება და ბედი..

...„კარებზე ზარი დაირეკა და შემოვიდა მონაზონი, რომელმაც გადმომცა დიდი სანთელი და სურათი წარწერით: „ქალბატონ მერი რადიანს, უღრმესი პატივისცემით – კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II. 1963 წ. 6.23“.

კანდელი დიდი სიხარულით გავიტანე და შუა ოთახში, მაგიდაზე ავანთე. გოგლა ლეონიძემ მითხრა: „ქალბატონო მერი, გამაგებინეთ როგორ ახერხებთ ერთდროულად ასეთ თბილ ურთიერთობებს კომუნისტებსა და რელიგიის მსახურებს შორის?“... ყველა გამხიარულდა“...

გადის წლები და მშვენიერი ქალბატონი მერი გომართელი-რადიანი იგონებს იმ დაუბრუნებელ წლებს, ოვალურ მაგიდასთან, დიდი ჯაღის ქვეშ გატარებულ საღამოების, იმ ეპოქის ქართველი მწერლების ცხოვრების სტილს, საუბრებს... იგონებს თავის ყველაზე პირადულს, რომელიც დროის დისტანციიდან უკვე წარსულის გაცოცხლებული, იმ წლების რომანტიზმით აღბეჭდილი დოკუმენტური სურათებია...

30 ნოემბერს მისი მეუღლე, ცნობილი მეცნიერი შალვა რადიანის დაბადების დღეა. რა შეიძლება მიუძღვნას დაბადების დღეს საყვარელ მეუღლეს და მეგობარს? ალბათ ერთად ყოფნის მოგონებათა ფურცლები...

„კვირაძალს საკითხავში“ სიამოვნებით გთავაზობთ ფრაგმენტებს ქალბატონ მერი გომართელი-რადიანის მოგონებების ხელნაწერი რვეულიდან.

მკაცრი დროების თომარნაწილები

სტუდენტობის პერიოდში ძალიან გვიყვარდა რუსთაველის გამზირზე სეირნობა. აქ ჩვენ ვხვდებოდით ფეხით მოსეირნე კორიფეებს: გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, სოსო გრიშაშვილს, გრიგოლ აბაშიძეს, იოსებ ნონეშვილს...

მერი გომართელი-რადიანი

მინდა აღვნიშნო ის საუკეთესო პერიოდი, როცა უნივერსიტეტის რექტორი იყო ბატონი **ნიკო კეცხოველი,** საკმაოდ მკაცრი, მომთხოვნი პიროვნება. კაბინეტში თითქმის არ იჯდა. დადიოდა დერეფნებში. ყველა სტუდენტს იცნობდა, აკვირდებოდა. თუ რამე არ მოეწონებოდა, შენიშვნებს აძლევდა.

თაობებს ახსოვთ, როგორი წესრიგი და მორალურ-ზნეობრივი ატმოსფერო გახლდათ უნივერსიტეტში ბატონი ნიკოს რექტორობის ჟამს... ქრთამი და „კორუფცია“ ხომ წარმოუდგენელი იყო...

1951 წელს დავამთავრე უნივერსიტეტის დასავლურ-ევროპული ენების განყოფილება. სახელმწიფო გამოცდების დაწყებისას გავიგე, რომ კომისიის თავმჯდომარე იყო პროფესორი **შალვა რადიანი...** საკმაოდ მომთხოვნიაო – ამბობდნენ...

ბილეთი ავიღე (პირველი გამოცდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში იყო). რადიანი გვერდით მომიჯდა. არ მშორდებოდა და მეკითხებოდა: გიჭირთ რამე?.. მაშინ პირველად გავიცანი იგი...

ერთ მშვენიერ შემოდგომის დღეს (სექტემბერია) სკოლაში (მასწავლებლად ვმუშაობდი) მივდივარ. ვერის აღმართიდან, ელგაქიძის ქუჩიდან ამოდის ევროპული გარეგნობის კაცი, ხელში დიდი „პორტფელით“, ცილინდრით.

ეს გახლდათ შალვა რადიანი, რომელმაც ორი თვით ადრე დიპლომზე მომიწერა ხელი... განსაკუთრებული ყურადღებით შემხვდა, ყველაფერი გამომკითხა, ვთქვი, რომ მივდიოდი ჩემს ბიძასთან – ისტორიკოს **გოგიტა საყვარელიძესთან.** მან მითხრა, რომ ბიძაჩემსაც და მამიდა მარიამსაც კარგად იცნობდა.

ჩემი მამიდა გომართელი იყო... ერთხელ შალვას მისთვის უკითხავს, რა არის თქვენი მერი გომართელიო. – ჩემი ძმისშვილიაო – უპასუხია... ასე რომ შალვას პირველად მისთვის გაუნდვია ჩემდამი სიმპატიის გრძნობა. ასე უთქვამს: გოგონა ძალიან მომწონს, თქვენ ეს ამბავი მას გაანდეთ და თუ მე მის სიმპატიას არ ვიმსახურებ, არავითარ შემთხვევაში არ შევაწუხებო...

მართალი გითხრათ, შალვა მეც ძალიან მომწონდა. ის უნივერსიტეტში გამოირჩეოდა ელეგანტურობით, მაგრამ ამას მაინც ვერ ვიფიქრებდი... როცა მამიდა ჩემთან გახარებული მოვიდა, დავიბენი, არაფერი მიპასუხია...

ერთხელ ქუჩაში ისევ შემხვდა შალვა რადიანი... ვისაუბრეთ. ჩემგან გაიგო, რომ ავლაბრის სკოლაში ვმუშაობდი გერმანულის მასწავლებლად. მითხრა: მე ავლაბარში, რაიკომში მაქვს საქმე და სკოლიდან როცა გამოხვალთ, იქვე დაგხვდებითო.

მართლაც, იმ დღეს დანიშნულ ადგილას იდგა... „ოპერის თეატრში გეპატიჟებითო, იმედია, უარს არ მეტყვითო“ და ორი ბილეთი გადმომცა. უცებ დავიბენი, მაგრამ უარი არ მითქვამს. სახლში მანქანით მიმაცილა (აღელვებულმა ღამე თეთრად გავათენე). მეორე დღეს კი ჩემს მეგობარ გოგოსთან, ლეილასთან ერთად ოპერაში წავედი. კარგად მახსოვს, „ტრავიატა“ გადიოდა. მე და ლეილა მეხუთე რიგში ვისხედით. თვითონ კი მეშვიდეში. ოპერა დამთავრდა. როგორც ყოველთვის, დარბაზი მაყურებლებით იყო სავსე, იარუსებზეც უამრავი ხალხი იჯდა...

ფოიეში გამოვედით, გარდერობთან... და ჩემი თხელი მანტო შალვამ ჩამაცვა. მეორე დღეს მას თურმე მთელი ქალაქი ურეკავდა. მე კი ქუჩაში ვინც შემხვდებოდა, მეუბნებოდა: ამბობენ, შალვა რადიანმა მერი გომართელს მანტო ჩააცვაო... შალვას ხომ ყველა იცნობდა და ყველას მოსწონდა...

შალვამ თავისი დამოკიდებულება იმ საღამოსვე გამანდო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მეც მომწონდა, თავი შევიკავე... ის კი გულდაწყვეტილი გამომემშვიდობა.

სახლში როცა დავბრუნდი, ჩუმად დავჯექი და სერიოზულად დავფიქრდი... ძალიან შევწუხდი. წარმოვიდგინე, რომ მეტს აღარასოდეს აღარაფერს მეტყოდა, მაგრამ თავი ვინუგეშე: თუკი სერიოზულად ფიქრობს ჩემზე, აუცილებლად შემეხმიანება-მეთქი...

გავიდა ორი კვირა და გავიგე ბიძია გოგიტასთვისაც მიუმართავს შალვას, ისიც ჩაერია საქმეში...

გოგიტა ბიძია და მარიამ მამიდა ერთად მოვიდნენ ჩემთან... თავიანთი აზრი და პოზიცია გამიზიარეს... და მე მათ დასტური მივეცი...

* * *

მე და შალვამ 1951 წლის 13 ოქტომბერს ხელი მოვაწერეთ... დავქორწინდით... იმ წელს, 14 დეკემბერს 24 წელი შემისრულდა... ჩემი დაბადების დღე მოსკოვში, ახალგახსნილ ქართულ რესტორანში „არაგვში“ აღვნიშნეთ. იმ დროს მოსკოვში იმყოფებდნენ **გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ ნონეშვილი, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე** მეუღლეებით. მათთან ერთად მოვიპატიჟეთ ნიკალაი ტიხონოვი. სუფრას გიორგი ლეონიძე თამადობდა. ეს დღე შესანიშნავად გავატარეთ.

სამი დღის შემდეგ დიდი თეატრში პრემიერა იყო დანიშნული – არამ ხაჩატურიანის ბალეტი „სპარტაკი“. ხაჩატურიანმა ყველა მიგვიწვია. მეორე დღეს კი სასტუმრო „მოსკოვში“ დიდი ბანკეტი გადაიხადა. და ჩვენც ყველანი იქ გახლდით...

ორ კვირაში თბილისში დავბრუნდით...

სწორედ იმ პერიოდში მწერლების ოჯახებს წყნეთში მიწის პატარ-პატარა ნაკვეთები დაგვირიგეს და დავიწყეთ სახლების მშენებლობა... თითქმის ყველამ ერთდროულად, ერთ წელიწადში ავაშენეთ... იქ რაღაც სხვაგვარი, განსაკუთრებული გარემო შეიქმნა. ძალიან მეგობრულად ვცხოვრობდით.

როცა უცხოეთიდან ჩამოდიოდნენ სტუმრები, ხშირად იქ მოჰყავდათ. მახსოვს, ჩვენთან, სტუმრად მოსული **ნიკალაი ტიხონოვი, უენია ევტუშენკო, ბელა ახმადულინა, ანდრეი ვოზნესენსკი.**

მოგვიანებით ტიხონოვმა აღწერა თავის მემუარებში „წყნეთის საღამოები“

ერთხელ წყნეთში, გვიან საღამოს ჩამოვიდა გალაკტიონი. მისი სახლი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, მთვარიანი ღამე იყო. გალაკტიონმა თქვა: „შალვა, აი, შეხედე, სწორედ ამგვარ დროს იწერებოდა ჩემი „მე და ღამე“... კარგ განწყობაზე იყო. ლექსების კითხვის დროს ის თითქოს სადღაც სხვაგან იყო, არაამქვეყნიური ხდებოდა...

წყნეთში მაშინ ქალაქიდან პატარა ავტობუსი დადიოდა. ხშირად შალვა და გალაკტიონი და სხვა მწერლებიც ამ ხუთკაპიკიანი ავტობუსით ამოდიოდნენ.

* * *

იმ ზაფხულს თბილისში პაპანაქება სიცხე იყო...

1954 წელს ჩვენს აგარაკზე გვესტუმრა გერმანელი მწერალი **ალფრედ კურელა** თავისი მეუღლით, ორ ვაჟთან ერთად. მეუღლეს ელფრიდა ერქვა, ჩვენთან ორი კვირა დარჩნენ. მათ საპატივცემულოდ მოვიწვიეთ ცნობილი გერმანისტები: **ნელი ამაშუკელი, თამარა დავიდოვა, ნოდარ კაკაბაძე, ზურაბ ჭარხალაშვილი, ნათელა ხუციშვილი...** საინტერესო საღამო გაიმართა. გერმანელი მწერლისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამგვარი კონტაქტები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, პროფესიული საუბრები და რა თქმა უნდა, ასეთი კეთილგანწყობილი გარემო.

ალფრედ კურელას და მის ოჯახს მთებში წასვლა ჰქონდათ გადაწყვეტილი... ვიღაც სვანმა მასპინძელმა მოაკითხა, სუფრიდან აიშალნენ და გზას გაუდგნენ.

3-4 დღის შემდეგ მე და შალვა ეზოში ვსაუბრობდით და უცებ გავიხედეთ: ვხედავთ ჭიშკარში შემოდის კურელა, თავის ვაჟებთან ერთად და თავში ირტყამდა ხელებს. ტირის... ჩვენ გაოცებული ვუყურებთ და ვერ ვხდებით, რა ხდება...

როგორც მერე გაირკვა იქ, მთებში, ცხენზე მჯდარი მისი მეუღლის ელფრიდას ცხენი გაშმაგდა და ეს შესანიშნავი ქალბატონი ჰიტალო ხეს შეახეთქა. იქვე, მყისიერად გარდაცვლილა... ეს საშინელი ამბავი თავად ალფრედ კურელამ გვიამბო და ისიც, რომ საკუთარი მეუღლე იქვე, მისთვის უცხო ქვეყნის მთებში დამარხა... თვითონ კიდევ ორი დღე დარჩა ჩვენთან, სანამ სამშობლოში გაემგზავრებოდა.

ეს ამბავი შთამბეჭდავად აღწერა **გურამ რჩეულიშვილმა** თავის შესანიშნავ ნოველაში „სიკვდილი მთაში“.

...გავიდა კიდევ ორი-სამი წელი და კურელა ისევ ჩამოვიდა საქართველოში და ჩვენ გვესტუმრა, ოღონდ უკვე სხვა, ახალი მეუღლით... ასეთია ცხოვრება...

* * *

1952 წლის 3 სექტემბერს ჩვენს ოჯახს დიდი ბედნიერება ეწვია: დაიბადა ჩვენი პირველი ვაჟი **მალხაზ რადიანი.** ყველანი – ახლობლები, ნათესავები, მწერლები გვილოცავდნენ ამ ბედნიერ დღეს, შალვას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა (მას ხომ პირველ მეუღლესთან, ქალბატონ ქეთევან ირემაძესთან შვილი არ ჰყოლია).

შალვა რადიანის ოჯახი. გურამ თიკანაძის ფოტო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დავუჯეროთ ინტერნეტსაიტებს?! „პი. ისტორია“...

მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს, რომ ქართველებმა არა მარტო ომები წავაგეთ და ტერიტორიების დაკარგვის საფრთხის წინაშე დავდექით, არამედ საინფორმაციო ომებშიც ვკარგავთ პოზიციებს.

გადის წლები და უფრო და უფრო ფერმკთალდება ნამდვილი ისტორიის ფურცლები. ჩვენგან დამოუკიდებლად სხვადასხვა ენებზე იბეჭდება ილუსტრირებული წიგნები, ინტერნეტსაიტები სავსეა გაყალბებული ისტორიით, რასაც მოწინააღმდეგე მხარე მთელ მსოფლიოს სთავაზობს. უფრო მეტიც, ისინი ხშირად კონტექსტიდან ამოგდებული ფრაზებით დოკუმენტებად და წყაროებად იმოწმებენ არა მარტო რუს თუ სომეხ ავტორებს, არამედ ქართველ ისტორიკოსებსაც. მაგალითად: არნოლდ ჩიქოაშვას, გიორგი მელიქიშვილს, ოთარ ჯაფარიძეს და სხვ.

„კვირაძალს საკითხავში“ ვიწყებთ ამ ეგრეთ წოდებული „კომენტარების“ გამოქვეყნებას და ვთხოვთ ქართველ მეცნიერებს თავიანთი კომპეტენტური აზრების და პოზიციების გამოხატვას – პასუხებს ჩვენთვის და მათთვის. ამჟამად გთავაზობთ ერთ-ერთი რიგითი აფხაზის „არგუმენტებს“, რომლებიც ინტერნეტსაიტზე ekhokavkaza (ეხოკავკაზა) გამოქვეყნდა, სადაც ავტორი ძველ ქართველურ ტომებს ამიერკავკასიის უძველესი, ძირძველი აფხაზურ-ადიღეური მოსახლეობის ტერიტორიების მითვისებაში ადანაშაულებს.

„Многочисленные - абхазо-адыгеиские племена в древнейшее времена обитали не только на своих нынешних территорях, но занимали всю Колхиду, часть малой Азии и другие места... еще в V-III тысячелетии до н. э. на территории Западново Закавкья бытовали абхазо-адыгеиские племена...“

О. М. Джапаридзе. „К этнической истории грузинских племен по данним археологии, Тбилиси, 1976 г. ст. 265-291.

(„მრავალრიცხოვანი აფხაზურ-ადიღეური ტომები უძვლეს დროში ცხოვრობდნენ არა მხოლოდ დღევანდელ ტერიტორიებზე. მათ ეკავათ მთელი კოლხიდა, მცირე აზიის ნაწილი და სხვა ადგილები... ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-VIII ათასწლეულებში ამიერკავკასიის დასავლეთში სახლობდნენ აფხაზურ-ადიღეური ტომები...“

ო. ჯაფარიძე. „ქართველების ეთნიკური ისტორია არქეოლოგიის მიხედვით„. თბილისი, 1976 წ.) გვ. 265-291

„на территории западной Грузии картвельским племенам предшествовали абхазо-адыгеиские племена... ...мигрировавшие занские (мегрельские и чанско-лазские) племена оседали на территории, где бытовали абхазо-адыгеиская речь...“

А. С. Чикобава. Соч., том 2. Тбилиси., ст. 263.

(„ ...დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველური ტომებზე ადრე ცხოვრობდნენ აფხაზურ-ადიღეური ტომები...

...ზანური ტომების (მეგრული და ჭანურ-ლაზური) მიგრაციამ მოიცვა ის ტერიტორიები, სადაც გავრცელებული იყო აფხაზურ-ადიღეური ენა...“)

ა. ჩიქობავა. თხ. ტომ II. თბილისი 1998 წ. გვ. 263)

„Миграция предков грузин (картвельских племен) с юга в Закавказьие... вобрали в себя автохтонное население Закавказья...“

Г. А. Меликишвили. „К истории древней Грузии“. Тбилиси. 1858., ст. 13.

(... ქართველებიის წინაპართა (ქართველური ტომების) მიგრაცია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ... შეიერთეს ამიერკავკასიის ავტოქტონური მოსახლეობა...“

გ. მელიქიშვილი. „ძველი საქართველოს ისტორია“. თბილისი. 1959 წ. გვ. 13.

ველით გამოხმაურებებს.

„გურამ, გურამ“...

ᲪᲜᲝᲑᲘᲚ მეცნიერს, ჰიდროლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, თავისი თაობის ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ პიროვნებას ᲜᲝᲓᲐᲠ ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔᲡ (მეტსახელად „ᲝᲩᲝᲡ“) განსაკუთრებულად გულისხმიერ, მეგობრების უერთგულეს ადამიანად იცნობენ. ის, მთელი თავისი არსით, ატარებს წარსულს, ამ ქვეყნიდან უკვე წასული ადამიანების სახელებსა და სახეებს, რაც სითბოთი, დიდი გემოვნებით და ზომიერების კურთხეული გრძნობით აღიბეჭდა მისი მემუარული ნოველების წიგნებში „ასე იყო“ და „ასეც იყო“. ახლახან ბატონმა ნოდარმა კიდევ ერთი მშვენიერი კრებული „მოგონებები გურამ ასათიანზე გამოაქვეყნა. როგორი იყო გურამ ასათიანის უკანასკნელი დღეები... დღეს ჩვენი მკითხველიც შეეხება ამ სევდიან თემას.

* * *

...1980 ᲬᲚᲘᲡ ნოემბერში გურამი გაემგზავრა მოსკოვში მივლინებით. დააგვიანდა ჩამოსვლა და დავკარგეთ კვალი მეგობრებმაც და ოჯახმაც. დეკემბრის პირველ რიცხვებში დამირეკა გოგუცა აგიაშვილმა და მითხრა, რომ მოსკოვიდან დაურეკავს ბორია ანდრონიკაშვილს და შეუტყობინებია, რომ გურამი ავად არის, ბრონქებში აქვს სერიოზული გართულება და სოკოლნიკების საავადმყოფოში დაწვინესო.

სამსახურიდან გავუარე გოგი ოჩიაურს და გადავწყვიტეთ ხვალ დილითვე გავფრენილიყავით მოსკოვში, სოკოლნიკებში ტუბერკულოზის საკავშირო ცენტრში, ჩუმად შევაღეთ პალატის კარი და დავინახეთ, რომ გურამს ეძინა. ძალიან შეცვლილი მომეჩვენა ხელი, რომელიც საბნის ზემოდან გულზე ედო, თითქოს გამხდარი, ფერმკრთალი და კანდაკეცილი. ამ სურათმა ძალიან იმოქმედა და კარებს მაგრად ჩავეჭიდე, რომ არ წავქცეულიყავი. კარების ხმაზე გურამს გაეღვიძა. ჩვენმა მოულოდნელმა გამოცხადებამ გამოაცოცხლა, გაამხიარულა და აღმოჩნდა, რომ არც ისე მძიმე მდგომარეობა ჰქონია, როგორც მოგვეჩვენა. გაიხარა, ხუმრობის ხასიათზე დადგა და გვითხრა, რომ ახლა უკეთ არის, აღარ ახველებს, გარეთ გაჰყავთ სასეირნოდ და ექიმებისთვის სიგარეტის მოწევის უფლებაც კი უთხოვია. წამოსვლისას, კარებში რომ გავდიოდით, გურამმა მომაძახა: „კარებზე ჩემი პიჯაკი ჰკიდია, გვერდით, ჯიბეში დაბეჭდილი კონვერტი დევს, ამოიღე და სახლში რომ მიხვალთ, გახსენით და წაიკითხეთ. დღეს უნდა გამომეგზავნა შენთვის და რაღაი თქვენ ჩამოასწარით წერილის გამოგზავნას, აქვე წაიკითხეთ და ხვალ რომ მოხვალთ, დეტალებზე დაგელაპარაკებითო“.

სასტუმროში დავბრუნდით თუ არა, გავხსენით კონვერტი, რომელშიც აღმოჩნდა: 1. მინდობილობა ჩემს სახელზე, ნოტარიულად დამოწმებული, რაც მაძლევდა უფლებას გამეყიდა გურამის სახლი და ეზო წყნეთში; 2. მითითებები – რა გზით და ვისი კონსულტაციებით გამეყიდა სახლი; 3. ვალების სია, რომლებიც უნდა დამეფარა აღებული თანხიდან; 4. ინსტრუქცია, თუ ვისთვის რა პროცენტი მიმეცა დარჩენილი თანხიდან და 5. წერილი ჩემს სახელზე. წერილში რჩევა-დარიგებები და მითითებები იყო და ბოლოს მთავრდებოდა ასე: „წყნეთის გასაღები აქვს დედა-ჩემს. პირადად შენ – საკომისიოდ – ხვიშტი. აბა, შენ იცი, ჩემო ძმაო, ისე ნუ მომკლავ, რომ ვისიმე ვალი (ფინანსური) გადაუხდელი დამრჩეს. გაკოცებ, შენი გურამი. 12.12.1980“.

ᲒᲝᲒᲘ ᲝᲩᲘᲐᲣᲠᲘ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔ

ვალების სია შეიცავდა ათ დასახელებას და ბევრ მათგანზე მიწერილი იყო კომენტარები, მაგალითად, ასეთი: „არ ახსოვს, გაუკვირდება“, „იმედი აქვს დაკარგული – გადაირევა“; „ღირსი არ არის, მაგრამ მაინც დაუბრუნე“, „ზუსტად არ მახსოვს – ხშირად და ცოტ-ცოტად ვართმევდი, თვითონ ჰკითხე, რამდენია“... ამ ყველაფრის წაკითხვამ გოგი და მე ძალიან შეგვაშფოთა. რა ცუდად ყოფილა, თუკი სიკვდილზე და ვალების გადახდაზე ფიქრობდა. ფაქტობრივად ეს წერილი იყო ანდერძი...

ერთხელ გაიოზ შარაშიძემ გურამთან მოიყვანა თავისი ბავშვობის მეგობარი ჟორა გრიგორაშვილი, რომელიც იყო სამხედრო ექიმი, შეისწავლა ჩინური ნემსებით მკურნალობა და ადამიანების ბევრი სახის ჩივილებს შველოდა. პალატიდან ყველანი გავიდნენ გაიოზისა და ჩემს გარდა და გავხდი მოწმე გურამისა და ჟორას დიალოგისა. ჟორამ გურამს შესთავაზა: „გურამ! ვერ მოგცემ სიტყვას რომ ფეხზე დაგაყენებ, მაგრამ თუ სხვა რაიმე პრობლემები გაქვს, ბევრი მათგანი შემიძლია შეგიმსუბუქო. მაგალითად ტკივილის შეგრძნება, დეპრესია, პანიკის განცდა და სხვა მრავალი“. გურამს გაეცინა და უპასუხა: „უორა, გენაცვალე! დიდი მადლობა ყურადღებისთვის და შეწუხებისთვის, მაგრამ ვერ მიშველი. მიუხედავად იმისა, რომ ვიცი რა მდგომარეობაში ვარ და რა მელოდება, პანიკის განცდა ოდნავადაც კი არა მაქვს. როგორც ჩანს, ეს ჩემი დაბადებიდან თანდაყოლილი გონებრივი თუ ფსიქოლოგიური დეფექტის ბრალია“. ამის მოსმენამ გამაოცა და დამარწმუნა, რომ გურამი კი არ თამაშობს უშიშარს ან კი არ ცდილობს, წარმოგვიდგეს სიკვდილის დამმარცხებელ გმირად, არამედ თავისი გონებრივი და ფსიქიკური ბალანსის წყალობით გაიაზრა დაუმარცხებელ სენთან შერკინების უაზრობა და სრულიად უმტკივნეულოდ და ტრაგიკული განცდების გარეშე გადალახა სიკვდილის შიში და სიცოცხლესთან გამოთხოვების უმძიმესი განცდა.

ერთხელაც, სიმონ ჩიქოვანის დაბადების დღეს, 9 იანვრის წინა დღეებში რომელიღაც გაზეთის თუ ჟურნალის კორესპონდენტები მოვიდნენ გურამთან, გაესაუბრნენ და სთხოვეს – „სიმონ ჩიქოვანის დაბადების დღესთან დაკავშირებით წერილს ხომ ვერ დაგვიწერთო“. გურამს გაეცინა და სიცილითვე უპასუხა: „წერილის დაწერაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ იქეთ მივდივარ და წერილს თუ გამატანთ, წავუღებო“. ასე ხუმრობდა სიკვდილზე და ექილიკავებოდა თავის აღსასრულის მოახლოვებას...

დილით, 8 საათი იქნებოდა, ჩემი სახლის კარებზე ზარის ხმა გაისმა. შეშინებული წამოვხტი, გავაღე კარი და შემომეფეთა ჩვენ გვერდით სადარბაზოში მცხოვრები დეიდა თინას მეგობრის, თამარ არეშიძის ნათესავი გოგონა ზაირა და მითხრა: „დეიდა თინამ დარეკა, გურამი ცუდათ შეიქმნა, ოჩოს თხოულობს და სასწრაფოდ წავიდესო“. გადავიცვი და გიჟივით გავვარდი, სულმოუთქმელად ავირბინე მესამე სართულზე, შევედი ოთახში თუ არა, დეიდა თინამ მომაძახა – „ჩქარა მოდი, შენ გიძახდა, ამ წუთში დაიძახა – „ოჩო, ოჩო“, მიდი, იქნებ გააგებინო, რომ მოხვედიო“. ვეცი საწოლს, ჩავეხუტე, ვეძახდი – „გურამ, გურამ!“ აღარ უპასუხია.

...გურამის გარდაცვალების გლოვის დღეებში დეიდა თინამ გაიხსენა: „პანაშვიდზე ერთმა დედაკაცმა მომატირა – „რა უბედური დედა ყოფილხარო! როგორ ცდებოდა! ჩემზე ბედნიერი ქალი არ მეგულება – მე ხომ გურამ ასათიანის დედა ვარ!

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔ

ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲜᲘᲜᲝ ᲮᲝᲤᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲮᲐ ᲥᲝᲠᲘᲫᲔ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ქართული ოცნება“ თავის ბნელ მხარეს აკლენს

როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღიარა თავისი დამარცხება პარლამენტის არჩევნებში, მან შექმნა მნიშვნელოვანი და შესანიშნავი პრეცედენტი. ადრე კავკასიაში არასოდეს და, ალბათ, არასოდესაც მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში, ქვეყნის ხელმძღვანელს ხელისუფლება მშვიდობიანად არ გადაუსია დემოკრატიული არჩევნების შემდეგ.

სააკაშვილისთვის, რომელსაც მისი საშინაო მოწინააღმდეგეები, კრემლი და ცინიკური მაძაგებლები დასავლეთში უკვე დიდი ხანია დიქტატორს უწოდებენ, საქართველო გახდა პოლიტიკურ კარიერაზე მაღლა, როდესაც მან ადგილი დაუთმო მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართულ ოცნებას“, რომელმაც პარლამენტი კონტროლქვეშ აიყვანა. მაგრამ, როგორც ამბობენ, არც ერთი კეთილი საქციელი არ რჩება დაუსჯელი, და როგორც ჩანს, სააკაშვილის პოლიტიკური მოწინააღმდეგეები დემოკრატიული გარიგების თავიანთ ნაწილს არ ასრულებენ.

* * *

პრობლემები დაიწყო უკვე არჩევნების მეორე დღეს, როდესაც ივანიშვილმა, ვინაც ქონება რუსეთში დააგროვა და ამ ცოტა ხნის წინათაც ცხოვრობდა განკერძოებით, მოულოდნელად თავისი პარტიის შტაბ-ბინაში მოაწყო პრესკონფერენცია. მასზე მან მოითხოვა, რომ სააკაშვილი, რომლის საპრეზიდენტო ვადაც 2013 წლის ოქტომბერში იწურება, დაუყოვნებლივ გადადგეს. როდესაც ერთ-ერთმა კორესპონდენტმა ჰკითხა ივანიშვილს, ხომ არ ნიშნავს მისი ტრიუმფი არჩევნებზე საქართველოს დაბრუნებას ორგანიზებულ დანაშაულებაში, მას ხელი აუქნია პატარა ტირანის მსგავსად. მთლიანად პრესკონფერენცია და ივანიშვილის საქციელი ნდობას არ გინერგავდა. ეს ადამიანი შეეჩვია იდგეს თავისაზე და მისთვის მომაბეზრებელი ჟურნალისტების შეკითხვები არ არის მუშაობის აუცილებელი ნაწილი. მართალია, მოგვიანებით ივანიშვილმა უარი განაცხადა თავის მოთხოვნაზე სააკაშვილის გადადგომის შესახებ — მას შემდეგ, რაც მსოფლიო საზოგადოებრიობამ აღშფოთება გამოთქვა ამასთან დაკავშირებით — უკანასკნელ დღეებში მან კვლავ დაიწყო მისი გახმაურება, იგი აშკარად გათამამდა დაპატიმრებების იმ სერიების შემდეგ, რასაც პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად.

* * *

ივანიშვილი ბუნდოვნად დაემუქრა ოპოზიციას ახალი მთავრობის კრიტიკის გამო დაპატიმრებებთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ პოლიტიკური ბრძოლა კუდიანებზე შეწყდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოწინააღმდეგეები დადუმდებიან. „მე ერთხელ როგორღაც პრეზიდენტ სააკაშვილს ვუთხარი, რომ მისთვის უმჯობესია ბოდიში მოიხადოს და გადადგეს. ეს იყო გასაღები ყოველივე იმისა, რაც დღეს ხდება, — განაცხადა ივანიშვილმა გასულ კვირას. — მაგრამ ისინი დღემდე თავს ანგელოზებად წარმოაჩენენ. ისინი გვატყუებენ. ეს არ მიგვიყვანს საალბათო დაპატიმრებათა შემცირებასთან“. სააკაშვილთან დაახლოებული წყაროების სიტყვებით, ივანიშვილი ვიწრო წრეში უკვე დიდი ხანია გამოდის ამ მუქარით, რასაც დღეს იგი აშკარად ამჟღავნებს. სააკაშვილის მრჩეველი რაფაელ გლიუკსმანი ამბობს, რომ არჩევნების შემდეგ პირველი შეხვედრის დროს ივანიშვილმა უთხრა პრეზიდენტს: „თქვენ უნდა გადადგეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი თანაშემწეები იურიდიულ პრობლემებს გადაეყრებიან“.

ახალი მთავრობა, რომელიც არ იზღუდება პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრებებით, ამავე დროს ცდილობს გაათავისუფლოს ის ხალხი ციხეებიდან, რომლებსაც იგი პოლიტიკურ პატიმრებს უწოდებს, რაც

დიდ ეჭვს იწვევს. მათ შორის არიან პიროვნებები, რომლებიც დამნაშავეებად არიან მიჩნეული ტერაქტების მოწყობაში. 19 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა პოლიტიკური პატიმრის სტატუსი 180 პატიმარს მიანიჭა. მათ შორის 7 რუსეთის მოქალაქეა, რომლებიც ბრალდებულად იქნენ მიჩნეული ტერორისტულ აქტებში, რაც 2010 წლის შემოდგომაზე მოხდა.

* * *

თუ ივანიშვილი ვერ შეძლებს მიაღწიოს თავის მიზნებს პოლიციისა და სასამართლოების გამოყენების ხარჯზე, ის შეძლებს აამოქმედოს სხვა საშუალებები. ივანიშვილის კონტროლქვეშ არსებულმა მინისტრთა კაბინეტმა უკვე შეამცირა ასიგნებანი სააკაშვილის საპრეზიდენტო თვითმფრინავის შენახვაზე 2013 წელს. პარლამენტის 7 დეპუტატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გადავიდა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“. მოძრაობა აცხადებს, რომ ეს მათ გააკეთეს იძულებით. ამას გარდა, მან ბრძანა მოახდინონ აუდიტორული შემოწმება სახელმწიფო ფართო სამაუწყებლო კომპანიაში, განაცხადა, რომ განზრახული აქვს შეუერთოს იგი თავის მეცხრე არხს ამ კომპანიისთვის სატელევიზიო მოწყობილობისა და სატელევიზიო პერსონალის გადაცემის ხარჯზე. ამ დროს, კერძო ტელეარხი „იმედი“, რომელიც ადრე სააკაშვილის მახლობელ მაგნატს ეკუთვნოდა, შეიძინა მეორე მდიდარმა ბიზნესმენმა, რომელიც ახლოსაა ივანიშვილთან. და ამ არხმა შეწყვიტა ახალი ამბების გადაცემა.

რამდენადაც ეს პარადოქსული არ უნდა იყოს, ივანიშვილის პოლიტიკური ტრიუკები შესაძლებელი გახდა ნაწილობრივ იმ ნაკლოვანებების ხარჯზე, რაც ქვეყანამ მიიღო მემკვიდრეობით სააკაშვილისგან. საქმე ის არის, რომ მან სათანადოდ მაინც ვერ მოახერხა საქართველოში სასამართლო სისტემის რეფორმირება. ერთ-ერთი ყველაზე დასაბუთებული და დროული დასკვნა კრიტიკოსებისა სააკაშვილის მთავრობის მისამართით, შეეხება სწორედ სასამართლოების დამოუკიდებლობას.

* * *

მკვეთრი შემობრუნებანი და გარდაქმნები ხშირად ხდება პოლიტიკური კურსის შეცვლის დროს, მაგრამ პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრებანი მოგონილი ბრალდებებით საფრთხის ქვეშ აყენებს ყოველივე იმას, რასაც მიაღწია საქართველომ თავისი დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის შემდეგ. მაგრამ ის, რომ ასეთი სცენარის განხორციელება დაიწყო უმალვე 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, არ არის მოულოდნელი. ივანიშვილის ბევრი მომხრე ძველი გვარდიის წევრია. ესენი არიან პოლიციის ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც სააკაშვილმა გაათავისუფლა კორუმპირებული სამართალდაცვის ორგანოების გარდაქმნის დროს, ედუარდ შევარდნაძის ეპოქის ჩინოვნიკები, რომლებიც მხარს უჭერენ ივანიშვილს რაღაც კონკრეტული ცვლილებების გამო პოლიტიკაში. დაუმატეთ ამას ივანიშვილის დიქტატორული ცდომილებანი, მისი კავშირურთიერთობანი რუსეთთან, მისი კოალიციის ნაციონალისტური ქსენოფობიური შემადგენლობა და თქვენ მიიღებთ მზა რეცეპტს დამსჯელი შურისძიებისა, თუ უფრო უარესს არა.

საქართველოს ბევრი გადაუჭრელი პრობლემა აქვს, რომელთა შორისაც არის მასობრივი სიღარიბე და უმუშევრობა. და ყველაზე ნაკლებად ასეთ პირობებში მას სჭირდება პოლიტიკური ნადირობა კუდიანებზე. საბედნიეროდ, ქართველთა უმრავლესობის პროდასავლური მისწრაფება უნდა იყოს საკმარისი იმისთვის, რათა არ დაუშვან საბჭოთა და პოსტსაბჭოთა გაქანების რეპრესიებისკენ დაბრუნება, ვინაიდან ეს ხელს შეუშლის საქართველოს დაახლოებას დასავლეთთან.

FP Foreign Policy

ქართველი პოლკოვნიკი წამების მსხვერპლად აღიარეს

საქართველოს პროკურატურამ გამოაქვეყნა ახალი გამოძიების დეტალები, რომელიც დაიწყო შარშან სექტემბერში რეზერვის ოფიცრის, პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით.

57 წლის თეთრაძე ავღანეთის ომის ვეტერანია, ის დააკავეს თავის დაბადების დღეს, 2011 წლის 17 სექტემბერს. ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ მის ახლობლებს აცნობეს მისი გარდაცვალების შესახებ.

სისხლის სამართლის საქმე, რომელიც აღიძრა შპიონაჟში ბრალდებული თეთრაძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, შეწყდა შარშან 31 დეკემბერს „დანაშაულის არარსებობის გამო“.

მაგრამ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლების განცხადებების საფუძველზე, მიმდინარე წლის 14 ნოემბერს დაიწყო ახალი გამოძიება, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ დაკავებული აღმოჩნდა ცემისა და წამების მსხვერპლი, გლდანის ციხის თანამშრომლები, მათ შორის მისი ყოფილი დირექტორი ალექსანდრე მუხაძე, სამსახურებრივ უფლებამოსილებას აჭარბებდნენ.

მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის სიტყვებით, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სასამართლო უფლებამოსილებათა გადაჭარბებასა და სიცოცხლის ხელყოფას გაუფრთხილებლობის შედეგად.

კბილაშვილის სიტყვებით, უკვე დაკავებულია დანაშაულის უშუალო შემსრულებელი, ვინმე სისაური. ამ საქმესთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიეცემა მუხაძეც.

მუხაძის დაცვა კომენტარებს არ აკეთებს, განმარტავს ამას იმით, რომ მისთვის ჯერ არ წაუყენებიათ ბრალდებანი.

საქმეში კიდევ სამი კაცი ფიგურირებს: ესენი არიან ვიქტორ ყაჭეიშვილი, ოლეგ ფაცაცია და ალექსი ტერაშვილი.

ფაცაცია და ყაჭეიშვილი დააკავეს გლდანის რამდენიმე სხვა თანამშრომელთან ერთად ჯერ კიდევ სექტემბერში. ფაცაცია იყო მერვე ციხის რეჟიმის განყოფილების უფროსი, ყაჭეიშვილი კი ამ დაწესებულების დირექტორი.

საქართველოს პროკურატურამ მათი დაკავების შესახებ განაცხადა ფიზიკური ძალადობისა და წამების ვიდეოკადრების გავრცელების შემდეგ, რამაც საქართველოში პროტესტების ტალღა გამოიწვია პარლამენტის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე.

BBC RUSSIAN.com

დედამიწის ზურგზე

ზოოლოგებმა გალეული უკბილო პატარა თევზი ობამად აძცეს

თეთრი სახლის მოქმედი უფროსის სახელი დაარქვეს ახალ, ამ ცოტა ხნით წინათ აღმოჩენილ მტკნარი წყლის თევზს, Etheost Obama-საკმაოდ პატარა თევზია, მაგრამ, ზოოლოგების აზრით, ასახავს ობამას წვლილს ბუნების დაცვის საქმეში. ობამა ამერიკის შეერთებული შტატების უკვე მეოთხე პრეზიდენტია, რომელიც „თევზად იქცა“. ასეთ ღირსებას ძირითადად სწორედ დემოკრატები ეღირსნენ.

* * *

ამერიკელებმა გამოსცადეს უხილავი უპილოტო საბრძოლო სისტემის მფრინავი რობოტი

უნიკალური გამანადგურებელი X 47-ბ ჩამოიტანეს ავიამზიდით, რათა პირველად გაუშვან იგი ბორტიდან. პარალელურად კონსტრუქტორები აწარმოებენ გამოცდას ხმელეთზეც: ბომბდამშენი უკვე წარმატებით აიყვანეს ჰაერში დედამიწიდან ორთქლის კატაპულტის დახმარებით, ვიდეოზე კი ჩაწერეს „საზღვაო ავიაციის ახალი ერის დასაწყისი“.

* * *

სირიაში გატაცებულმა უკრაინელმა ჟურნალისტმა ვიდეოზე თავისი თავი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტად გამოაცხადა

გამოქვეყნებულ კადრებში ანხარ კოჩნევა ამბობს, რომ მუშაობდა მთარგმნელად სირიელი სამხედროებისა და რუსი ოფიცრებისთვის. „თითქოს იმეორებდაო დაზეპირებულ ტექსტს“, — აღნიშნავენ კოლეგები. ექსპერტებმა კი განაცხადეს, რომ ქალბატონი შეიძლება იყოს „ალ-ქაიდის“ თათებში. რუსეთში კი საეჭვოდ დუმან და არ ჩქარობენ უარყონ ჟურნალისტთან თანამშრომლობა.

* * *

„ნასაში“ გამოვიდნენ ოფიციალური განცხადებით მარსის გამო, „სენსაციურ განცხადებასთან“ დაკავშირებით: ყველაფერი, თურმე, ასე არ ყოფილა

ვარაუდი იმის შესახებ, რომ მიღებულია მისიის ახალი მნიშვნელოვანი შედეგები, არ შეესაბამება სინამდვილეს, ნათქვამია ამერიკის კოსმოსური სააგენტოს ცნობაში. ამ მომენტისთვის ზუსტი დადასტურებანი მარსზე ორგანული მოლეკულების არსებობის შესახებ, რაც ცოცხალი ნივთიერების საფუძველს შეადგენს, არ აღმოჩენილა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გამოფენა

თვითნასწავლი მხატვრის მრავალფეროვნება

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში თვითნასწავლი მხატვრის დალი ხაჭაპურიძის პერსონალური გამოფენა გაიმართა. პროფესიით ქიმიკოსმა 62 წლისამ დაიწყო სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მოღვაწეობა და მიზანდასახულობითა და ხელსაქმის დიდი ცოდნით შექმნა საინტერესო ნამუშევრები ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში.

გამოფენაზე, სადაც მხატვრის ასამდე ნამუშევარი გამოიფინა, წარმოდგენილია ქვილთი, ნაქარგობა, ვიტრაჟი და ბატიკა. ქალბატონმა დალიმ გამოფენა გარდაცვლილ ვაჟს მიუძღვნა.

გამოფენა გახსნა მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორმა ემზარ ჯგერენაიამ. სიტყვით გამოვიდნენ და ქალბატონ დალის წარმატება მიულოცეს მხატვრის მეგობრებმა, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა, სტუმრებმა...

ძეთევან დოლიძე: ქალბატონი დალი არაჩვეულებრივი ხელოვანია. ძალიან მომწონს და ორიგინალურია პლასტიკით მისი ქვილთის ნამუშევრები და მინაზე ნახატები – ვიტრაჟები, რომლებიც ჰაეროვნებითაც გამოირჩევა.

სამებაში გამართულ ჩემ საღამოზე სიურპრიზი დამახვედრა – ჩემს ერთ-ერთ ნოველაში საუბარია ქვილთის საბანზე, ქალი, რომელიც აგროვებს ქვილთის ნაკუწებს, მიაქვს მეგობრებთან, ახლობლებთან და აკერებენ ამ საბანს. როცა ეს ქალი გარდაიცვლება, გამოაბრძანებენ საბანს, როგორც უდიდეს ორსულ ქალბატონს, გაშლიან მინდორზე და ვერტმფრენის ეკიპაჟი დაინახავს, რომ საქართველოს რუკაა...

ქალბატონმა დალიმ სწორედ ასეთი სუფრა მისახსოვრა: ნაკუწებისგან გაკეთებული რუკა მოჭრილი ტერიტორიებით... ყველა კუთხე ლამაზი, ორიგინალური ფერებითაა გამოსახული...

ნინო სალუქვაძე, პოეტი: დალი ხაჭაპურიძეს დიდი ხანია ვიცნობ, ყველა სახეობაში გამორჩეულია მისი ღვაწლი, თექაა თუ ქვილთია. განცდილი მინაზე სიფაქიზით და ფერების გემოვნებიანი შეხამებით გადააქვს, ამიტომაცაა მისი შემოქმედება ასეთი ჰაეროვანი.

ხელოვანი ქალბატონი ლექსებსაც წერს.

მანანა სხირტლაძე, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი: ქალბატონი დალი იმდენად დიდი ტკივილის მატარებელია, მაგრამ მასთან წამითაც ვერ იგრძნობ, რომ ის ტრავმირებული დედაა. რასაც ეს ქალბატონი ქმნის, ესაა ყველას საკუთრება. ის თავის სულიერ სამყაროს ყველას უნაწილებს.



ნანა ღონღაძე: აღფრთოვანებას ვერ ვმალავ. მის შემოქმედებას დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ ასე მთლიანობაში წარმოდგენილი პირველად ვნახე. სულით მტკიცე და მხნე ქალია. ამ შესანიშნავი ფერებით ერთხელ კიდევ გააცოცხლა მთელი საქართველოს სული.

ნაზიბროლა გახოკიძე: ის უწინარესად არაჩვეულებრივი დიასახლისი, იუმორის ნიჭის პატრონი და გაჭირვებულთა გვერდით მდგომია. რაც არ უნდა უჭირდეს, ჯერ არ მომისმენია წუწუნი. ყოველთვის ცდილობს, რაიმე სასიხარულო გითხრას... აღფრთოვანებული ვარ, მისგან ბევრი კარგი რამის სწავლა შეიძლება.

ნატა ნიბლაძე

სურათებზე: ემზარ ჯგერენაია, ნაზიბროლა გახოკიძე, დალი ხაჭაპურიძე; დალი ხაჭაპურიძის ნამუშევარი.

ავტორის ფოტო

◎ სიძველე

„სნეული თვალისჩინია უფლისა“

თუ რა აჟიოტაჟი და პიარი ჰქონდა საქართველოში მიმდინარე რეფორმებს, მათ შორის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და დაზღვევის სფეროებში, ყველას კარგად გვახსოვს. უმრავლესობა ჩვენგანმა კი ამ რეფორმების „სიკეთე“, კერძოდ, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ფასიან სამედიცინო მომსახურებაზე გადასვლა და უკიდურესად შეკვეცილი საპენსიო სადაზღვევო პაკეტის რეალური სარგებელი, საკუთარ თავზე გამოსცადა. ყველაფერი ეს, ხალხის ძირითადი მასის უკიდურესად გაჭირვებული ეკონომიკურ-სოციალური ყოფის პირობებში, მის მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ამძიმებდა, ამდენად გარედან მიღებული ნებისმიერი სახის დახმარება, გაწეული თუნდაც მოსახლეობის არცთუ მრავალრიცხოვანი ჯგუფისთვის, საზოგადოებისთვის ძალიან დიდი შვება იყო და არის, და უდიდესი მადლიერების გრძნობას იწვევს.

შესავალი იქნებ გამიგრძელდა კიდეც, მაგრამ ის მადლი, რომელიც თბილისში კამილიელთა კათოლიკური ორდენის მიერ დაარსებულ უნარშეზღუდულ პირთა სამედიცინო ცენტრის მოღვაწეობას სცხია, მეტადაც ღირს.

თავდაპირველად თავად კამილელთა ორდენის შესახებ მოგახსენებთ. ორდენის სახელი XVI საუკუნეში მცხოვრები წმინდა კამილოს სახელს უკავშირდება, რომელმაც თავისი მოწოდება სნეულ ადამიანთა მსახურებაში ნახა, რასთანაც იგი თავისი ცხოვრების წესმა მიიყვანა. მისი სნეულთა მსახურება მით უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებს, რომ იგი თავადაც ავად იყო, მოქცევის შემდეგ კი ცხოვრების მიზნად გაჭირვებულთა მოვლა დაისახა.

– მოგეხსენებათ, ყველა გულწრფელი, კეთილშობილი მაგალითი გადამდებია, ამიტომ დროთა განმავლობაში კამილოს მიმდევრები გაუჩნდნენ, რომლებმაც დაინახეს, რომ მოყვასს შველა არა მარტო სულიერად სჭირდება, როგორც ამას ხშირად ღვთისმსახურები აკეთებენ, არამედ ფიზიკურადაც, – ამბობს მამა აკაკი (ჭელიძე), კამილიელი მღვდელ-მონაზონი, რომელმაც კათოლიკობა 20 წლის წინათ მიიღო, ხუთი წელიც იტალიაში ისწავლა. იმ ხანად სასულიერო პირნი ქადაგებდნენ, რომ მთავარია სულის ცხონება, ამქვეყნიური ყოფა კი არაფერია, მაგრამ კამილომ სწორედ ის დაინახა, რომ სული კაცის ფიზიკურ სხეულში სახლობს, რომელიც, თავის მხრივ, ხშირად განპირობებს მის მდგომარეობას – **თუ სხეული სნეულია, ზოგჯერ სულიც ამის გამოა ავად** და სწორედ ამ საფუძველზე იშვა კამილიელთა ორდენი, რომლის მსახურთა ცხოვრების საქმე სნეულთა მოვლა-პატრონობაა.

სამხრეთ კავკასიაში კამილიელი ბერ-მონაზვნები თავდაპირველად 1992 წელს, სპიტაკის მიწისძვრის შემდეგ გამოჩნდნენ, როცა დაბა აშოცკში ვატიკანის მიერ აგებული საავადმყოფოს მართვა ჩაიბარეს. 1995 წელს კი კავკასიაში წმინდა ტახტის მაშინდელი წარმომადგენელი მონსენიორი გუჯეროტი საქართველოს იმდროინდელ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა, რა დროსაც ამ უკანასკნელმა პაპის წარგზავნილს ნახევრად ხუმრობით ჰკითხა – რა, ბატონო, საქართველოშიც აუცილებლად მიწისძვრა უნდა მოხდეს, ჩვენს ავადმყოფებსაც დახმარება რომ გაუწიოთო? რა თქმა უნდა არაო, იყო მონსენიორ კლაუდიო გუჯეროტის პასუხი, თუმცა კი იმხანად მსგავსი პროექტის განსახორციელებლად სახსრები მოძიებული არ იყო და, შესაბამისად, არც არაფერი იგეგმებოდა.

– მოკლედ, ჩვენი სამედიცინო ცენტრის ისტორიაც აქედან იწყება, – განაგრძობს მამა აკაკი. – იმ დროისთვის ჩაფიქრებული იყო განუკურნებელი სენით დაავადებულთათვის სამედიცინო დაწესებულების გამართვა, განგების ძალით ფინანსური სახსრების გამონახვაც მოხერხდა და 1998 წელს თბილისში კამილიელთა სრულფასოვანი პოლიკლინიკა ამოქმედდა.

ამჟამად კამილიელთა ორდენის უნარშეზღუდულ პირთათვის სამედიცინო ცენტრი, რომელიც თემქაზე XI მიკრორაიონში, ზღვის უბანში მდებარეობს, პაციენტებს ამბულატორიულად ემსახურება. 14 წლის წინათ იგი აწ განსვენებულმა რომის პაპმა იოანე-პავლე II დედაქალაქს, სრულიად საქართველოს გადასცა საჩუქრად.

პოლიკლინიკაში მკურნალობის პოლისებს უპოვრებზე გლდანი-ნაძალადევის გამგეობა გასცემდა და მათ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი სნეული მოსახლეობა იღებდა. ამ საქმიანობას ათი წლის მანძილზე კამილიელთა ორდენის ბერ-მონაზვნები იმ სახსრებით უძღვებოდნენ, რომლებსაც სხვადასხვა შემოწირულობათა სახით იღებდნენ. მაგრამ, ბუნებრივია, რომ ვერანაირი ჰუმანიტარული დახმარება მუდმივი ვერ იქნება, რადგან ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა მუდმივად რომ იყოს, შეუძლებელია, თუმცა კი ღარიბები და ნაკლებად შეძლებულები, ალბათ, ყოველთვის არიან.

– პოლიკლინიკა თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობებითაა გაწყობილი და როგორც დიდებისთვის, ისე პატარებისთვის განკუთვნილი სავარჯიშო ტექნიკით აღჭურვილი. ის ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო სარეაბილიტაციო ცენტრია, სადაც აღრიცხვაზე მყოფ ორმოცდაათ პაციენტს ვმკურნალობთ და იქვე საჭმლითაც ვუმასპინძლდებით, – ამბობს სამედიცინო დაწესებულების აღმასრულებელი დირექტორი კობა კობოსნიძე. – ახლო მომავალში პაციენტების რიცხოვნობის მნიშვნელოვნად გაზრდას ვგეგმავთ, რასაც, ვფიქრობ, სამედიცინოს გარდა ასევე ძალიან დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს. ასევე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ვამთავრებთ ცენტრის ეზოს კეთილმოწყობას, გაკეთდა ბავშვთა მოედანი, დავდგით სასრიალო ატრაქციონები, საქანელები, ვაგებთ ხელოვნურ საფარს და ვასრულებთ სტადიონის მშენებლობას, რომელსაც ლამაზი ფილებით მოვაპირკეთებთ. ცენტრთან საგანგებოდ ავტომანქანების სადგომიც მოეწყობა, ასე რომ ამ მხრივ ხალხს პრობლემა არ შეექმნება.

მაგრამ, ჩემი აზრით, **ცენტრის მოღვაწეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება ისაა, რომ ჩვენთან მკურნალობა 50-პროცენტიანი ფასდაკლებით ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, რაც, ვფიქრობ, დიდი შეღავათია,** რასაც აგერ უკვე ოთხი წელია ვაკეთებთ. ვისაც პროფესიული სამედიცინო კონსულტაცია და, შესაბამისად, მომსახურება სჭირდება, შეუძლია ჩვენი პოლიკლინიკის სპეციალისტებს მიმართოს და სათანადო კვალიფიციური დახმარება მიიღოს. აქვე ისიც მინდა გითხრათ, რომ ღარიბების პოლისებით უპოვრებს ჩვენ კვლავინდებურად უფასოდ ვემსახურებით.

თუ როგორ ასრულებენ კამილიელი ბერ-მონაზვნები ორდენის დევიზს „სნეული თვალისჩინია უფლისა“, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მას შემდეგ, რაც ზოგი უპოვრის მდგომარეობის – ფიზიკურის თუ სულიერის – მქონე პირს, რომელიც მანამდე იძულებით წლობით თავის სახლის ზღურბლს ვერ სცილდებოდა, ისინი შინ აკითხავენ, მანქანებით ორდენის სავანეში მიჰყავთ, საღამოთი კი თავიანთ ოჯახებს უბრუნებენ. საგანგებოდაა აღსანიშნავი. იმის მიუხედავად, რომ კამილიელთა პოლიკლინიკას შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები აქვს, ბერ-მონაზვნებს მოღვაწეობის პრიორიტეტული მიმართულებებიდან მთავარი მაინც სარეაბილიტაციო ცენტრია, სადაც უაღრესად გაჭირვებულ ხალხს ეხმარებიან. პირობა მხოლოდ ისაა, რომ კაცი ტერიტორიულად სამედიცინო ცენტრიდან ძალიან შორს არ უნდა ცხოვრობდეს და ისეთი სნეულება არ უნდა სჭირდეს, რომ მის გადაყვანა-გადმოყვანას პრობლემები არ მოყვეს.

ასეთ სიქველეს და ასეთ ღვთისმოსავ ხალხს, ვფიქრობ, ჩვენც თვალისჩინივით უნდა მოვუფრთხილდეთ, რაშიც, დარწმუნებული ვარ, ყველანი დაგვეთანხმებით.

ოთარ ტურაბელიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კალათბურთი

რატომ ბევრი ჩაგიგდია

„კანტუ“ რუსეთს კონკრეტული მიზნით ეწვია – ევროლიგის ჯგუფური რაუნდის VIII ტურის მატჩი „ხიმკისთან“ აუცილებლად უნდა მოეგო და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეინარჩუნებდა მორიგ ეტაპზე გადასვლის შანსს.

ტრადიციისამებრ, იტალიურ კლუბს ყოფნა-არყოფნის ბრძოლაში მანუჩარ მარკოიშვილი შეუძღვა, 12 ქულით პირველი პერიოდი



მოაგებინა კიდეც – 24:23 (სულ 16 ქულას, 4 მოხსნას, 3 ჩაჭრასა და 2 პასს მოუყარა თავი), მაგრამ, ჰოი, საოცრებავ – რატომღაც სათადარიგოთა სკამზე მიუჩინეს ადგილი.

თითქოს ამას ელოდნენო, მასპინძლებმა უმოწყალოდ დაბომბეს მეტოქის კალათი და, მართალია, „მანუ“ მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდა სარბიელს, მაგრამ მატარებელი უკვე გასული იყო ბაქინდან – მოსკოვის ოლქელთა შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა – 77:53.

კიდევ უფრო ნაკლები ნდობა გამოუცხადა ჩვენს მეორე თანამემამულეს – გიორგი შერმადინს თელ-ავივის „მაკაბის“ თავკაცმა დევიდ ბლატმა, თუმცა, მისმა გუნდმა, აპენინელთაგან განსხვავებით, მაინც მოახერხა ფრანგულ „შალონთა“ ცუდად დაწყებული საქმის გამოსწორება და მეექვსე გამარჯვება მოიპოვა – 78:73. გიომ 6 წუთში 4 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა.

გაუწყებთ იმავე დღეს გამართული კიდევ რამდენიმე თამაშის შედეგს: „პანათინაიკოსი“ – „ოლიმპია“ 80:72, „ალბა“ – „პროკომი“ 67:64, „ცედევიტა“ – „ეფეს პილსენი“ 73:81, „ტაუგრესი“ – „მილანი“ 64:62, „ბროზე“ – ცსკა 89:97, „პარტიზანი“ – „ლიეტუვას რიტასი“ 75:74.

* * *

„ატლანტამ“ შინ ზედიზედ მე-6 მატჩი მოიგო „შარლოტასთან“ – 94:91 და ნბა-ს აღმოსავლეთ კონფერენციაში მხოლოდ „მაიამის“ ჩამორჩება. ზაზა ფაჩულია ჯორჯიელებს 6 ქულითა და ამდენივე მოხსნით შეეწია (21 წუთში).

რაც შეეხება თორნიკე შენგელიას, იგი ამჯერადაც ვერ მოხვდა „ბრუკლინის“ განაცხადში და, როგორც შევიტყვეთ, სათამაშო პრაქტიკის მისაღებად ნბა-ს განვითარების ლიგაში დროებით გაშვებას უპირებენ.

მის არყოფნაში ელიტის დებიუტანტმა ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა „ბოსტონში“ – 95:83 და, თუ გავითვალისწინებთ მის შემადგენლობასა და შეთამაშებას, ალბათ, ფავორიტებს უნდა მივაკუთვნოთ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

რჩეულთა ზორის რჩეულნი

უკვე გაუწყეთ, რომ 7 იანვარს ციურიხში ფიფა და პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია განვლილი სეზონის ლაურეატთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს მოაწყობენ.

სან-პაულუში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მომავალი ღონისძიების ორგანიზატორებმა სხვადასხვა ნომინაციების „დაწურული“ ვარიანტები გააჟღერეს:

„ოქროს ბურთი“ (ვაჟები). კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია), ლიონელ მესი (არგენტინა), ანდრეს ინიესტა (ესპანეთი).

ქალები. მარტა (ბრაზილია), ალექს მორგანი (აშშ), ები ბამბახი (აშშ).

საუკეთესო მწვრთნელი. ხოსეპ გვარდიოლა (ესპანეთი), ვისენტე დელ ბოსკე (ესპანეთი), ჟოზე მურინიუ (პორტუგალია).

ფერენც პუშკაშის სახელობის პრიზი ულამაზესი გოლისათვის. რადამელ ფალკაო (კოლუმბია), ნეიმარი (ბრაზილია), მიროსლავ სტოხი (სლოვაკეთი).

და ბოლოს, გამოვლინდა იმ 15 თავდამსხმელის ვინაობა, საიდანაც 3 საუკეთესო წლის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდება. სამუელ ეტოო (კამერუნი), სერხიო აგუერო (არგენტინა), მარიო ბალოტელი (იტალია), ქარიმ ბენზემა (საფრანგეთი), ედინსონ კავანი (ურუგვაი), კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია), დიდიე დროგბა (კოტ დივუარი), რადამელ ფალკაო (კოლუმბია), მარიო გომესი (გერმანია), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი), ლიონელ მესი (არგენტინა), ნეიმარი (ბრაზილია), რობინ ვან პერსი (ჰოლანდია), უეინ რუნი (ინგლისი), ლუის სუარესი (ურუგვაი).

გიორგი ზოთაძე

◎ სკანდალი

როცა ტაბლოზე ყვითელი ენთო

დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა ინტერნეტში გამოქვეყნებულ ვიდეოჩანაწერს, საიდანაც ირკვევა, რომ „ფორმულა-1“-ის წლევანდელი სეზონის დასკვნითი – ბრაზილიის გრან-პრის ერთ-ერთ ეპიზოდში სებასტიან ფეტელმა „ტორო როსოს“ ბოლიდი მაშინ ჩამოიტოვა უკან, როცა ტაბლოზე ყვითელი ფერი ენთო, რაც იმას ნიშნავს, რომ პილოტებმა ნელა უნდა იაროონ და ერთმანეთს არ უნდა გაუსწრონ.

„ფერარიში“ ამ ნივთმტკიცებას ყურადღებით სწავლობენ და ავტორბოლის საერთაშორისო ორგანიზაციაში შესაბამისი საჩივრის შეტანას აპირებენ. ასეც რომ არ იყოს, თავად ეს ავტორიტეტული უწყება ვალდებულია ყველა საეჭვო სიგნალი განიხილოს. მისი რეგლამენტის მიხედვით, თუ გერმანელს წესების დარღვევა დაუფიქსირდა, მას საბოლოო შედეგზე 20 საჯარიმო წამს დაუმატებენ, რის შედეგადაც ფეტელი ჩემპიონის მესამე ტიტულს დაემშვიდობება და პირველი ადგილის მფლობელი, ასევე მესამედ, ავტომატურად ესპანელი ფერნანდო ალონსო გახდება.

შეგახსენებთ, რომ ინტერლაგოსის ტრასაზე პირენეელმა მეორე ადგილი დაიკავა, მისმა მრისხანე მეტოქემ კი – მეექვსე, რაც ამ უკანასკნელისთვის საკმარისი აღმოჩნდა, საერთო ჩათვლაში სამი ქულით გაესწრო კონკურენტისთვის.

შესაძლო სანქციის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ ფეტელმა ფინიშის ხაზი მერვემ გადაკვეთა, მონაგარი ოთხი ქულით შეუმცირდება და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მინიმალური უპირატესობით ალონსო ავა.

ცნობისათვის: გამოძიების დასაწყებად და პრეტენზიების წარმოებაში მისაღებად სპეციალურ სადისციპლინო კომიტეტს ვადა წუხელ ამოეწურა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ელიტა

სამგზის!

წლეულს სერენა უილიამსი კორტზე 50-ჯერ გამოვიდა და აქედან 48 ბრძოლა მოიგო. მსოფლიოს მესამე ჩოგანმა მდიდარი კოლექცია ლონდონის ოლიმპიადის „ოქროთი“, დიდი სლემის ორი ტურნირისა და სტამბოლში გამართული სეზონის შემაჯამებელი პრესტიჟული ასპარეზობის მთავარი ჯილდოებით შეავსო.

ასე რომ, სავსებით ლოგიკურია ამერიკელის უკვე მესამედ დასახელება წლის საუკეთესო ჩოგბურთელ ქალად.

უწინ ანალოგიური აღიარება ლეგენდარულ შტეფი გრაფსა და მარტინა ნავრატილოვას ხვდათ წილად.

საკუთარი ინფორმაცია

◎ დღეს

იურგენ კლოპი: „ბაიერნს“ პრობლემები უნდა შევუქმნათ

გერმანიის ზედიზედ ორგზის ჩემპიონ „დორტმუნდის“ მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი იმედოვნებს, რომ ბუნდესლიგის XV ტურში მისი გუნდი წლევანდელი გათამაშების ლიდერ მიუნხენის „ბაიერნს“ პრობლემებს შეუქმნის.

დორტმუნდელებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში გერმანიის ჩემპიონატში „ბაიერნს“ ზედიზედ ოთხი თამაში მოუგეს, მაგრამ წელს მიუნხენელებთან სუპერთასი დათმეს და 45 წლის სპეციალისტი ახლაც მძიმე თამაშს ელის.

„ბაიერნს“ პრობლემები უნდა შევუქმნათ. ქვეყნის ჩემპიონატში მიუნხენელებს ბოლო ხუთი თამაში მოვუგეთ, მაგრამ დავთმეთ სუპერთასი. მაშინ ვცდილობდით, ჩვენი ფეხბურთი გვეთამაშა, მაგრამ მეტოქე ძალიან აგრესიული იყო და ვიგრძენით, რომ წელს მათ წინააღმდეგ თამაში ძალიან რთული იქნება. და მაინც, თუ მოედანზე ჩვენს საუკეთესო თვისებებს გამოვავლენთ, ნებისმიერი შედეგი შეიძლება დადგეს. ბუნდესლიგაში მრავლად არ არიან ისეთი გუნდები, რომლის წინააღმდეგ თამაშიც ისეთივე რთულია, როგორც ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ფავორიტი მაინც „ბაიერნია“, – თქვა მატჩისწინა პრეს-კონფერენციაზე კლოპმა.

„ბაიერნისა“ და „დორტმუნდის“ შეხვედრა მიუნხენში, „ალიანს არენაზე“ 1 დეკემბერს, თბილისის დროით 21:30 საათზე დაიწყება.

◎ დაბრუნება

მიზანი ერთია, დიადი, ნათელი...

„მუნდიალ – 2014“-ის მასპინძლის ბრაზილიის ბანაკში უმნიშვნელოვანესი სიახლეა: ერთი კვირის წინათ „კოპა ამერიკისა“ და ლონდონის ოლიმპიადის ჩაფლავებისათვის თანამდებობიდან განთავისუფლებული მანუ მენეზეშის ნაცვლად „პენტა კამპეონთა“ მთავარ მწვრთნელად ლუიშ ფელიპე სკოლარი დაინიშნა, ხოლო ტექნიკურ დირექტორად – ლუის ალბერტო პერეირა.

შეგახსენებთ, რომ პირველმა თანამემამულეები ტახტზე 2002 წელს კორეა-იაპონიაში აიყვანა, ხოლო მეორემ – 1994 წელს აშშ-ში.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია არაერთი უცხოელი სპეციალისტის, მათ შორის ხოსეპ გვარდიოლას კანდიდატურას განიხილავდა, მაგრამ საბოლოოდ ეროვნული ნაკრები მაინც თვისტომთ ჩააბარა. მათ კონკრეტული მიზანი დაუსახეს: „სელესაომ“ მეექვსე ტიტულით უნდა გაახარონ „ტორსიდა“.

როსტომ რაჭველიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სანთელი

დიდი გზის დასასრული

გამოთხოვება ლევან ჩიქვანაიასთან



ჩვენი ცხოვრება წუთისოფელია და, ამიტომაც, სიკვდილი არასოდეს არის მოულოდნელი. „რა წამს კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არი“, – უთქვამს ჩვენს შორეულ ბრძენ წინაპარს... და მაინც თავზარდამცემად მოულოდნელი იყო **ლევან ჩიქვანაიას** სიკვდილი.

წავიდა ჩვენგან ხელმძღვანელი, კოლეგა და მეგობარი, ჩვენი სიხარულისა და დარდის თანამოზიარე. ქართველმა პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ კი დაჰკარგა გამოჩენილი პედაგოგი, საგანმანათლებლო საქმის ბრწყინვალე ორგანიზატორი, მოღვაწე, მცენიერი, რომელმაც მთელი არცთუ ხანმოკლე სიცოცხლე ქართული განათლების სამსახურს შეალია.

ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველოს სასკოლო განათლებაში არ მომხდარა რაიმე დიდი თუ მცირე მოვლენა, დიდი თუ მცირე შემობრუნება ლევან ჩიქვანაიას აქტიური მონაწილეობის გარეშე. ჩვენი სკოლის ყველა ავმაც და კარგმაც მის გულზე გადაიარა, რამეთუ პედაგოგიურ ასპარეზზე ის იყო გამორჩეული რაინდი და ვერანაირი მტერ-მოყვარე მას გვერდს ვერ აუვლიდა.

საქართველოს განათლების სისტემაში ყოველთვის გამორჩეული თანამდებობები ეკავა და ისინი კი არ ანიჭებდნენ მნიშვნელობას მას, არამედ იგი ანიჭებდა მნიშვნელობას ამ თანამდებობებს. მის უზადო ნიჭიერებას თან ახლდა პიროვნული ხიბლი, რაც ასე აჯადოებდა ყველას, ვისაც კი საქმე ჰქონია მასთან.

სადაც კი იღვწოდა – გაზეთის რედაქცია იყო თუ სკოლა, განათლების უმაღლესი ორგანო თუ საქართველოს პარლამენტი, უმაღლესი სასწავლებელი თუ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ყველგან წარუშლელი კვალი დატოვა.

იგი იყო ჭეშმარიტი ნიჭიერების აპოლოგეტი. ამის დასტურია ქართველი მკითხველისათვის ძვირფასი მისი წიგნები და ის შესანიშნავი პუბლიცისტიკა, რომლის ნიმუშები მისი სიცოცხლის ბოლომდე ქვეყნდებოდა ქართულ პრესაში.

ლევან ჩიქვანაიას არც თანამდებობები დაჰკლებია და არც სამეცნიერო ხარისხები და წოდებები, ხოლო პედაგოგიური და არა მარტო პედაგოგიური საზოგადოებრიობის სიყვარული და პატივისცემა იმდენი ჰქონდა, რომ სხვასაც ეყოფოდა საამაყოდ.

... და მაინც, პირველ ყოვლისა, ის იყო ლეგენდარული დირექტორი. მის მიერ ჩამოყალიბებული თბილისის 1 ექსპერიმენტული სკოლა გახდა ახალი ეპოქის დასაწყისი ქართული პედაგოგიკის განვითარებაში. ამ სკოლაში მიმდინარე სამეცნიერო ექსპერიმენტები და ნოვატორული პედაგოგიური პრაქტიკა მსოფლიოს მეცნიერ-პედაგოგთა და მასწავლებელთა ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ სკოლის ოფიციალური სახელწოდება მალე დაივიწყა ხალხმა და მას „ჩიქვანაიას სკოლას“ უწოდებდა. ის ტრადიციები, რაც იქ დაამკვიდრა ლეგენდარულმა დირექტორმა, დღესაც ცოცხალია.

ვინც მოკვდა, თავსა მოუკვდაო, – ნათქვამია. ლევან ჩიქვანაიას სადარ ადამიანებს ეს ნათქვამი არ ეხებათ. ბატონი ლევანი მოუკვდა მის დიდ ოჯახს, მრავალრიცხოვან მეგობრებსა და ნამოწაფრებს, ქართულ პედაგოგიკას, მთელ საქართველოს. იგი ფიზიკურად წავიდა ჩვენგან, მაგრამ ჩვენთან დარჩება მისი დიდი მემკვიდრეობა და ის ნათელი ხსოვნა, რომელსაც დრო ვერასოდეს წაშლის.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ეროვნული ინსტიტუტი

ხსოვნა

მწიგნობარი რაინდი

გარდაიცვალა **ვახტანგ როდონაია!**

უმჯობესია ასე სადად ვამცნოთ მთელ ქართველ საზოგადოებას ეს სამძიმარი.

ამ სახელს არ სჭირდება არანაირი რეგალიის, არც ერთი ეპითეტის მიმატება; თვით ოფიციალობის „ბატონიც“ კი თავის ფარდობით წონას კარგავს მის პიროვნებასთან მიმართებით.

მან შეძლო ეცხოვრა ისე, რომ არასოდეს არავის დასდგომოდა უფროსად და არც ვინმე მისი უფროსი ყოფილიყო; თვით ასაკობრივი საზღვრების წაშლასაც კი იგი ძალიან უბრალოდ ახერხებდა, როგორც ზუსტი ხალხური შეფასება ამბობს – დიდთან დიდი იყო, პატარასთან – პატარა... იგი იყო უაღრესად შეუვალი ფასეულობების დაცვის დროს და ხაზგასმით ზრდილი, მორცხვიც კი – ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებში...

ვახტანგ როდონაიამ მიიღო ჩინებული განათლება და აღზრდა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ „სკოლაში“ – განთქმული პედაგოგის, ვაჟთა მე-19 სკოლის საქართველოს ისტორიის მასწავლებლის, სამსონ როდონაიასა და უსათნოესი ქალბატონის – ქსენია კაკაბაძის ოჯახში. დიდი გავლენა მოახდინა მასზე დედაუნივერსიტეტის ძველმა თაობამ... მაგრამ იგი მაინც სიყრმის დროიდანვე თავად ძერწავდა საკუთარ „მეს“ – მსოფლმხედველობრივადაც, ესთეტიკურადაც, ეთიკურადაც... სპორტთან თუ წიგნთან დამოკიდებულებაშიც, საკუთარი თავის ძიებაშიც პროფესიულსა თუ მოქალაქეობრივ ასპარეზზე.

ასე ჩამოყალიბდა მისი – როგორც მწიგნობარი რაინდის ნატურა:

უაღრესად თანამედროვე და, იმავდროს – ღრმად ძველქართული;

უსაზღვრო ჰუმანისტი, ტოლერანტი და შემწყნარებელი და, იქვე – ყოველივე ქართულზე გულანთებული;

გულუბრყვილობამდე მომთმენი და დამთმობი და – უცებ – სიკერპემდე პრინციპული და კატეგორიული;

ყველასათვის ახლობელი და მისაწვდომი და, მაინც – მარტოკაცივით დისტანცირებული;

„განსმდგომი შუაკაცი“...

ვახტანგ როდონაია ეკუთვნოდა ქართველი ინტელიგენციის იმ განსაკუთრებულ ნაწილს, ვინც გარკვეული პერიოდის სამეცნიერო-პედაგოგიური სფეროს იდეოლოგიური დევალვაციის ფონზე პრინციპულად თქვა უარი ყოველგვარ სამეცნიერო წოდებასა და აკადემიურ რეგალიებზე და ამით შეინარჩუნა პერსონალური სტატუსი და მთლიანობა იმავე საზოგადოებაში.

ვახტანგ როდონაია წლების განმავლობაში მუშაობდა ლიტერატურის ინსტიტუტში და ჰქონდა ყველანაირი შესაძლებლობა, საკმაოდ სწრაფად გაეკეთებინა სამეცნიერო კარიერა, მაგრამ მან შეგნებულად თქვა უარი ამ შესაძლებლობაზე.

მას ჰქონდა ფართო ლიტერატურულ-ესთეტიკური ინტერესები და ყოველთვის ორიგინალურად, უაღრესად საინტერესოდ წერდა სიტყვიერსა თუ სახვით ხელოვნებაზე, ქართულ მუსიკალურ ფოლკლორზე, განსაკუთრებით კი – ძველ ქართულ ლიტერატურაზე, ქრისტიანული კულტურის უკვდავ ძეგლებზე ...

მაგრამ მის ბუნებაში მაინც პედაგოგი მძლავრობდა; რაღაც განსაკუთრებული შემოქმედებითი გზნება იპყრობდა მას მასწავლებლებსა თუ მოსწავლეებთან ურთიერთობისას. ალბათ ამან განაპირობა ის, რომ მას შემდეგ, რაც ქართული ეროვნული სკოლის განახლების ჟამმა დარეკა, მთელი თავისი ცოდნა და ენერგია ამ მიმართულებით წარმართა. შეიძლება ითქვას, რომ, იაკობ გოგებაშვილის შემდეგ, არავის არ გადაუდვია ასე თავი ეროვნული სკოლის, ქართული პედაგოგიური მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად. მისი განსაკუთრებული დამსახურებაა ის, რომ იმ ურთულეს პერიოდში სწორედ მან შეძლო შეერჩია და ამ საქმის ენთუზიაზმით აღენთო ორ ათეულზე მეტი სპეციალისტი თავისი დარგისა - მეცნიერები, სკოლის პედაგოგები, მეთოდისტები, ფსიქოლოგები, მწერლები, მხატვრები... და ამის შედეგად, მიუხედავად ცვალებადი სარეფორმო პირობებისა, თანმიმდევრულად შეექმნა ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების სრული ციკლი პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით და ამით მდიდარი ქართული სიტყვიერებისათვის შეენარჩუნებინა კუთვნილი ადგილი ჩვენს ეროვნულ სკოლაში!

ვახტანგ როდონაიას, წესისამებრ, არც ამ ღვაწლისათვის მიუღია თუნდ უმცირესი ოფიციალური დაფასება, უბრალო მადლობაც კი... სამაგიეროდ, მან მიიღო უდიდესი ჯილდო – ჩვენი მრავალტანჯული პედაგოგიური საზოგადოების გულწრფელი, აღმატებული პატივისცემა და თვალანთებული მოზარდების უხინჯო სიყვარული... და ყველა სამძიმარს გადასწონის ის ღია თუ ჩაბრუნებული ცრემლიც, რომელიც ამ სახელმძღვანელოებით გაცნობილი და თანამოაზრედ ქცეული არაერთი სკოლის მასწავლებლის გულს მოსწყდება ამ ამბის გაგებისას...

ვახტანგი იყო ნამდვილი მოქალაქე და პატრიოტი და იმით მაინც გაუმართლა მას, რომ ქვეყნის ბედით გულდამძიმებულმა არ დატოვა ორგემაგე საწუთრო... იგი იყო დიდი მეგობარი, თავდადებული და გამეტებული გულშმატკივარი ყველასი, ვისაც კი თანადგომა დასჭირდებოდა – წიგნით თუ რჩევით, სიტყვით თუ საქმით... იგი ძალიან დააკლდება მისთვის ესოდენ ძვირფას საზოგადოებას, ქვეყანას...

ნათელი უძღოდეს მარადისობის გზაზე!..

ზაზა აბზიანიძე, ავთანდილ არაბული, თეიმურაზ ბაკურაძე, გურამ ბარნოვი, ბეგო ბეჟუაშვილი, ლეილა ბეროშვილი, მანანა გიგინეიშვილი, ლაურა გრიგოლაშვილი, ანზორ ერძომაიშვილი, გელა კანდელაკი, გუჩა კვარაცხელია, ემზარ კვიტაიშვილი, ნინო ნაკუდაშვილი, მიხეილ ნანეიშვილი, მანანა ტუსკია, ვაჟა შენგელია, დავით წერედიანი, კოტე ჯანდიერი, თამაზ ჯოლოგუა, ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ძობულია.

დაზუსტება

გაზეთის 28 ნოემბრის (№228) ნომერში სტატიაში „სანამ კუდს მოიქნევდეს...“, არასამთავრობო ორგანიზაციის „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისთვის“ მისი ელექტრონული ფოსტის მისამართი:

ersaufle@ yahoo.com **და** www.ersaufle.ge **შეცდომითაა მითითებული, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით.**

ინფორმაცია

„მე-9 არხი“ კიდევ რამდენიმე ხელმძღვანელმა პირმა დატოვა

გენერალური დირექტორის შემდეგ „მე-9 არხი“ რამდენიმე ხელმძღვანელმა პირმა დატოვა.

გავრცელებული ინფორმაციით, ტელეკომპანიიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღეს არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა თამარ რუხაძემ, გენერალური დირექტორის მრჩეველმა საზოგადოებრივ პოლიტიკურ საკითხებში ირინა თევდორაშვილმა, რეგიონულმა პროდიუსერმა ირაკლი აფსაძემ.

არსებული ცნობით, თამარ რუხაძე „მე-9 არხიდან“ წასვლის მიზეზად თავისსა და ახალ გენერალურ დირექტორ ლუბა ელიაშვილს შორის ახალი ამბების „კეთების“ საკითხზე განსხვავებულ შეხედულებებს ასახელებს.

ინტერპრესნიუსი

საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, მისი უცვლელი აკადემიკოსმდივანი, ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწე, განათლების დარგის გამორჩეული ორგანიზატორი და მოამაგე, ღირსეულად ვალმოხდილი მამულიშვილი, პროფესორი

ლევან ჩიქვანაია

აკადემიის თითოეული წევრი თავს ხრის ბატონი ლევანის უკვდავი ხსოვნის წინაშე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კრიმინალი

სიდედრის მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს

სამძებრო-ოპერატიული ღონისძიების შედეგად შსს კრიმინალური დეპარტამენტის თანამშრომლებმა მკვლელობის ბრალდებით ელგუჯა კ. დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 1998 წლის 21 თებერვალს ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ელგუჯა კ. -მ ურთიერთშელაპარაკებისას სადგისის გამოყენებით სიდედრი, 1928 წელს დაბადებული ნაზი ჯახუა მოკლა.

– შემდეგ მეუღლის, 1973 წელს დაბადებული მაია კ.-ს დახმარებით, ლეიბის პირში გახვეული გვამი თავის დროებით საცხოვრებელ ოთახში ჩამარხა და კვალის დასაფარად აღნიშნულ ადგილზე სველი წერტილი გააკეთა. დაკავებისას ელგუჯა კ.-მ ჩადენილი დანაშაული აღიარა და სამართალდამცველებს ნაზი ჯახუას გვამის ზუსტი ადგილსამყოფელი მიუთითა. არსებული ინფორმაციით, დაკავებამდე ელგუჯა კ. თავს არიდებდა ნებისმიერი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის აღებას, შემდგომში მისი პიროვნების იდენტიფიცირებისა და დანაშაულში მხილების თავიდან აცილების მიზნით, – იუწყება შსს.

საქმე აღიძრა სსსკ 108-ე მუხლით. ჩადენილი დანაშაული 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინტერპრესნიუსი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დაიჯესტი

ელვამტყორცნი – მომავლის იარაღი

ამერიკელი მეცნიერები ასრულებენ სამუშაოს, რომლის მიზანია „მომავლის იარაღის“ შექმნა – ეს ელვების მფრქვეველი ელექტროლაზერი იქნება.

ლაპარაკია პროგრამა LIPS-ზე, როცა პერსპექტიულ იარაღში მუხტი იმავე პრინციპით წარმოიშვება, როგორც ბუნებაში – ესაა ელვა. თეორიულად ატმოსფეროს მოცემულ წერტილში, სადაც მოწინააღმდეგის ბალისტიკურმა რაკეტამ უნდა გაიფრინოს, შესაძლოა ელექტრულ პოტენციალთა სხვაობის შექმნა, რომელსაც ელვა გამოიწვევს. სწორედ ამაზე მუშაობენ ნიუ-ჯერსის შტატის პიკანტინის ბაზაზე ამერიკის შეერთებული შტატების ჯარისთვის შეიარაღების კვლევის, განვითარებისა და დაპროექტების ცენტრის მეცნიერები, თუმცა „ელვამტყორცნის“ შეიარაღებაზე მიღების არანაირ რეალურ ვადაზე ლაპარაკი ჯერჯერობით არ არის.

სასიკვდილო ბიზნესი

რუსეთის პოლიციამ დანაშაულებრივი ჯგუფის მოქმედება აღკვეთა, რომლის წევრები ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის განკუთვნილ წამლებს შტამავდნენ და ავრცელებდნენ.

ოპერატიული ინფორმაციით, სქემა ორი წლის მანძილზე მოქმედებდა. ვადაგასული წამლები და ფარმაცევტული ნედლეული როსტოვის ოლქის ქალაქ შახტიში უკრაინიდან შეჰქონდათ. იქ, კერძო ბინაში, ასევე სასაწყობე სათავსოში აბებსა და ამპულებს ხელახლა ფუთავდნენ და დამზადების თარიღს უცვლიდნენ. მოხმარების ინსტრუქციებსა და სხვა საბუთებს როსტოვისა და ტაგანროგის ტიპოგრაფიებში ბეჭდავდნენ.

ამ სასიკვდილო ბიზნესის მონაწილენი ბრუნვაში უშვებდნენ არა მარტო უვარგის წამლებს, ისინი ყალბ პრეპარატებს საკუთარ მოწყობილობებზეც ამზადებდნენ. ყველაზე მეტად აყალბებდნენ კიბოთი დაავადებულთათვის განკუთვნილ პრეპარატებს, რომელთა ერთი ამპულის ფასი დღესდღეობით 5-20 ათასი რუბლის ფარგლებში მერყეობს! ჩხრეკისას პოლიციამ ორი „კამაზი“ „სამკურნალო“ პრეპარატი ამოიღო, ასევე ამპულების დასაწნეხი დანადგარები, მედიკამენტების საწარმოები ნედლეული და ა.შ. სამართალდამცველებმა შეძლეს დანაშაულებრივი ჯგუფის ორი ორგანიზატორის დაკავებაც, რომელთაგან ერთ-ერთი ფარმაცევტული ფირმის წარმომადგენლად მუშაობდა და პირადი კავშირების წყალობით კონტრაფაქტურ წამლებს საფთიაქო ქსელის, ასევე მოსკოვისა და დონის როსტოვის სამედიცინო კლინიკების მეშვეობით ასაღებდა. ეჭვმიტანილთა მიერ მიღებული შემოსავალი, სავარაუდოდ, 500 მილიონ რუბლს შეადგენს.

მადონას სარეკლამო ხრიკი

ყველას თუ არა, ყოველ შემთხვევაში ბევრ ცნობილ პიროვნებას გარკვეული „ბზიკი“ აქვს, განსაკუთრებით კი ამ მხრივ შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები გამოირჩევიან. გასაკვირი იქნებოდა, მათ შორის მადონაც რომ არ ყოფილიყო: მომღერალს პათოლოგიურად ეშინია, რომ თაყვანისმცემლებს მისი დნკ-ს მოპარვა შეუძლიათ!

ამჟამინდელ მსოფლიო ტურნეში მადონამ სტერილიზატორთა მთელი ჯგუფი წაიყვანა. ეს გუნდი ყოველი კონცერტის შემდეგ საგულდაგულოდ ასუფთავებს მის საგრიმიოროს, რათა, ღმერთმა დაიფაროს და იქ შემთხვევით არ დარჩეს მადონას თმის ღერი, ნერწყვი ან კანის ნაჭერი.

ამასთან დაკავშირებით მეცნიერები აცხადებენ, რომ დღესდღეობით მადონას, ან რომელიმე სხვა ადამიანის კლონირება შეუძლებელია. რა შეუძლიათ უყონ მადონას თაყვანისმცემლებმა მის დნკ-ს? შეუძლიათ გაიგონ, თუ რა წარმოშობისა არიან მისი წინაპრები, მისი სისხლის ჯგუფი, შეუძლია თუ არა მას მოუხდელი რძის დალევა, როგორ მუშაობენ მისი ალკოჰოლის დამჟანგავი ფერმენტები, აქვს თუ არა მიდრეკილება რომელიმე ავადმყოფობისადმი...

მაგრამ, ასეთი გამოკვლევა მეტად ძვირი საქმეა, თანაც სირთულეა ასევე იმის დადგენა, თუ რომელია საგრიმიოროში დარჩენილი მაინცდამაინც მადონას დნკ... ამდენად, როკ-ვარსკვლავის „ფოკუსი“ უფრო სარეკლამო სვლას ჰგავს.

კანფეტი გინდა?

მამაკაცის სექსუალური აქტივობის დადგენის მარტივ ხერხს მიაგნეს გერმანელმა ფსიქოლოგებმა.

თურმე საამისოდ ქალმა თავის რჩეულს უბრალოდ... კანფეტი უნდა მიაწოდოს. სწრაფი სექსის ტრფიალნი კანფეტს შეფუთვას უცებ აცლიან და მაშინვე აგდებენ. საკუთარ ძალებში ნაკლებად დარწმუნებული მამაკაცები შეფუთვას ჯერ ბოლოებს უხსნიან, თითქოს მის ელესტიურობას ამოწმებენო. მამაკაცი კი, რომელიც შეფუთვის ქაღალდიდან სხვადასხვა ფიგურის გაკეთებას დაიწყებს, სექსუალური ურთიერთობისას დიდ ფანტაზიას გამოიჩენს, ხოლო თუ კაცმა ქაღალდი მოკეცა და ჯიბეში ჩაიდო, ლოგინში იგი საკმაოდ ერთფეროვანი იქნება.

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

დისკოთეკაზე ბიჭი გოგოს ეკითხება:
– შეიძლება, რომ გთხოვოთ?
– შეიძლება, მაგრამ ჯერ ვიცეკვოთ.

* * *

ძმაკაცები ერთმანეთს შეხვდნენ.
– რატომ ხარ ასეთი ნაღვლიანი? – ეკითხება ერთი.
– ცოლი კურორტზე მიდის.
– რას ამბობ? თუ ასეა, უნდა გიხაროდეს.
– არა, კაცო. ახლა რომ დამწუხრებული სახით არ ვიარო, ვაითუ გადაიფიქროს წასვლა.

* * *

კაცები სვამენ, მხიარულობენ, ერთი ტიპი კი მოწყენილი ზის და სახე ჩამოსტირის.
– რად ხარ ასეთი მოწყენილი?
– აბა, რა გამახარებს, ცოლს შიდსი აღმოაჩნდა... ვიხუმრე, ბიჭო, ვიხუმრე. ასე რამ გაგაფითრათ?

* * *

ახალგაზრდა ცოლი თავის დედასთან მივიდა, – საცხოვრებლად შენთან უნდა გადმოვიდეო.
– ყველაფერი გასაგებია! სულ ვამბობდი, რომ შენი ქმარი ნაძირალა და ვიგინდარაა! გიღალატა?
– მთლად არა. იცი, დედა, მოულოდნელად დაბრუნდა სახლში და თავის მეგობართან წამასწრო.
– ყველაფერი გასაგებია! ის უფრო საზიზღარი ყოფილა, ვიდრე მეგონა.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთილი ვახუცესებისაგან

რას უმზადებს სააკაშვილი „ქართულ ოცნებას“

უკვე კარგა ხანია ბოროტი ხმები ამბობენ, სააკაშვილი „ქართულ ოცნებას“ რაღაცას უმზადებსო. ექსპერტების ნაწილი უკვე ღიად ამბობს, რომ ნაცმოძრაობა გადატრიალებას ამზადებს. თეორიულად „ქართულ ოცნებას“ პრეზიდენტის წინააღმდეგობის გამო, პარლამენტში ჩვეულებრივი კანონის გამოტანაც კი უნდა გაუჭირდეს. პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად მინიმუმ 89 დეპუტატია საჭირო. როგორც ცნობილია, უკვე დეკემბერში „ქართული ოცნება“ პარლამენტში მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებას აპირებს, რომელთა ნაწილსაც, შესაძლოა, პრეზიდენტი არ დაეთანხმოს. ვნახოთ, რამდენად აქტიურად გამოიყენებს სააკაშვილი კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს.

„ახალი თაობა“

საქართველოს უკრაინიდან ხორბლის მიწოდებაზე პრობლემა არ შეექმნება

უკვე გადაწყვეტილია, რომ უკრაინა ხორბლის ექსპორტზე შეზღუდვებს აღარ დააწესებს, ანუ ქვეყანა ხორბლის გამოტანაზე რაიმე პრობლემას არ შექმნის. აღსანიშნავია, რომ უკრაინა საქართველოს ხორბლის მომარაგებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბაზარია და თუ უკრაინა შეზღუდვას დაიწყებდა, ეს, რა თქმა უნდა, საქართველოზეც აისახებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც უკრაინამ ხორბლის ექსპორტზე ემბარგო გამოაცხადა, საქართველოსთვის გამონაკლისი დაუშვა და საქართველო უკრაინიდან ხორბლის ექსპორტს ჩვეულ რეჟიმში ახდენდა.

„ვერსია“

ამნისტირებულთა საქმეების განხილვა, შესაძლოა, ვერ მოესწროს

– საყოველთაო ამნისტიის გამოცხადების შემდეგ, შესაძლოა, სასამართლოებმა საქმეების განხილვა ვერ მოასწრონ, – ამბობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, თუმცა ამნისტიის შესახებ კანონპროექტის ავტორები ამას „ხელოვნურ პრობლემას“ უწოდებენ.

კონსტანტინე კუბლაშვილის თქმით, „ამნისტიის შესახებ“ კანონში თუ ზუსტად არ დაიწერა ის ვადები, რა დროშიც სასამართლოებმა საქმის გადახედვა უნდა დაიწყონ, ან არ დადგინდა პროცედურა, ვინ უნდა მიაწოდოს სასამართლოს ეს საქმეები, შესაძლოა, განხილვა ვერ მოესწროს.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ამნისტიის კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი გედევან ფოფხაძე ამბობს, რომ კანონის აღსრულება 2 თვეში უნდა მოხდეს და ეს ვადა უკვე გაწერილია. „ვერ ვხვდები, რატომ ქმნიან ხელოვნურ ბარიერებს... მაგათ რა უნდათ, ადამიანი ამნისტირებულია და 3 წელი კიდევ არ გაუშვან? მაშინ ამნისტიას რა აზრი აქვს“?

„რეზონანსი“

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com